გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№277 (336) 15-22 ივლისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული — აკაკი შანიძე

# საქართველოს საფრთხე ჩრდილოეთიდან კი არა, სამხრეთიდან ემუქრება...

ამას წინათ ქართულ მასმედიაში გამოქვეყნდა ისლამისტი ფუნდამენტალისტების გარკვეული ნაწილის განაცხადი ისლამური ხალიფატის შექმნის თაობაზე, რომელ სივრცეშიც მოქცეულია კავკასიის ორივე ქრისტიანული სახელმწიფო – საქართველო და სომხეთი. იგივე აზრი გაჟღერდა ერთ-ერთი ევროპელი მეცნიერის მიერ გამოცემულ წიგნში სათაურით **“ასი წლის შემდეგ”**, რომლის ავტორი არც თუ შორეულ მომავალში კავკასიაში ვეღარ ხედავს ქრისტიანულ სახელმწიფოებს.

თუმცა, რაღა შორს მივდივართ – სამხრეთიდან მომავალი მომაკვდინებელი საფრთხე ჯერ კიდევ 1996 წელს განჭვრიტა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ვრცელ პუბლიცისტურ წერილში **“საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა”**, სადაც პოლიტიკოსმა დაწვრილებით მიმოიხილა კავკასიის გასამუსულმანებელი ე.წ. **“დიდი თურანის”** ავტორთა განაზრახი.

გთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული წერილიდან:

**“პრეზიდენტისა** (იგულისხმება ედუარდ შევარდნაძე – **“ილორი”**) **და მისი ხელქვეითებისათვის ესოდენ საყვარელი საუბრები ეროვნულ დამოუკიდებლობაზე სასწაულებრივი პოლიტიკური ყალთაბანდობის საფარველად იქცა. შევარდნაძემ ისარგებლა რუსეთის მმართველი ლიბერალური ელიტის კონიუნქტურული ინტერესებით და პროდასავლური განწყობით, ამასთან, საქართველო არსებითად რუსეთის გავლენიდან გამოიყვანა. მაგრამ ეს სულაც არ გაკეთებულა ევროპული ტიპის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის მიზნით. ყველასათვის ნათელია, რომ “დასავლეთთან ინტეგრაციასა” და “ცივილიზებულ სამყაროსთან” შერწყმაზე მომაბეზრებელი ლაპარაკი სხვა არაფერია, თუ არა თურქეთის პროტექტორატში საქართველოს გადაყვანის სპეკულაციური შენიღბვა, რასაც, სხვათა შორის, მთლიანად ეთანხმება აშშ, რომელიც თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს კავკასიაზე გავლენის გავრცელების უფლებით.**

**თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ დღეს უკვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომლის დროსაც საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის მინიმალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზეც კი სერიოზულად საუბარი, უბრალოდ, სასაცილოა. პირდაპირ ან ცრუმაგიერი პირებით ხდება მიწის, უძრავი ქონების, საწარმოო ობიექტების შესყიდვა. იხსნება ურიცხვი თურქული ფირმა, მაღაზია, მაგრამ იქ მუშაობენ არა ადგილობრივი მაცხოვრებლები, არამედ თურქები. ყველგან ფუნქციონირებენ თურქული სკოლები, ლიცეუმები, კოლეჯები; შენდება თურქული უნივერსიტეტი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზით, რომელსაც, ბუნებრივია, ქართული უმაღლესი სასწავლებლები კონკურენციას ვერ გაუწევენ. უახლოეს წარსულში ქართული საზოგადოების “რუსიფიკაციის” გამო “დამწუხრებულ”, ახლანდელ რეჟიმთან დაახლოებულ მწერლებს, პოეტებს და სხვა “ერის მამებს” აზრადაც არ მოსდით იმით დაინტერესდნენ: ეს თურქები, რომელთა საკუთარი მოსახლეობის ლამის ნახევარი გაუნათლებელია, საქართველოში განათლების დონის ამაღლებაზე თავს ასე რად იკლავენ? ახლახან თვალი გადავავლე სტამბულში “დიდი თურანის” ახლად გამოცემულ რუქას, სადაც საქართველო, დანარჩენი კავკასია, შავიზღვისპირეთი, ყირიმი თურქეთთან ერთ ფერად არის შეფერილი და...**

**...თანამედროვე მსოფლიო მართლაც ისეთი “ცივილიზებული”, “სამართლიანი” და “დემოკრატიული” რომ იყოს, როგორსაც მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე გვიხატავდნენ, არცერთ დიდ სახელმწიფოს რომ არ ამოძრავებდეს კავკასიაში თავისი ტერიტორიული და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები, იქნებ კავკასიის ხალხებს ტკბილმეზობლურადაც კი ეცხოვრათ (თუმცა, ესეც ფრიად საეჭვოა: სადავო ბევრია, საჭირო იქნება არბიტრი, რომლის როლზეც მძაფრი ბრძოლა დაიწყებოდა, ბრძოლა კი ძალის გამოყენებაა). მაგრამ რამდენადაც ძალა და ინტერესი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარ ბერკეტად რჩება, რასაც ახლავს მუქარა, ზეწოლა, შევიწროება, ბლოკადა და სხვა, სავსებით არადემოკრატიული, მკაცრი ექსპანსიის მეთოდები, ერთი დიდი სახელმწიფოს პროტექტორატიდან “განთავისუფლება” მხოლოდ და მხოლოდ მეორე პროტექტორატის ქვეშ გადასვლას ნიშნავს. კერძოდ, კავკასიიდან რუსეთის “წასვლა” გულისხმობს იქ თურქეთის “მისვლას”...**

**...ერთმორწმუნე თურქეთისაკენ ჩრდილოკავკასიელთა ბუნებრივი სწრაფვა ისტორიულად ახსნადია და პოლიტიკურად არახალია. მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიას კარგად ესმოდა, რომ ეს ხალხი (უფრო სწორად, მათი ელიტა) მუდმივად იქნებოდა ჯანყისა და მღელვარების კერა, თურქეთთან სამხედრო შეტაკების შემთხვევაში კი შეასრულებდა “მეხუთე კოლონის” როლს. ამიტომ, მეფის რუსეთმა თურქეთში “ერთმორწმუნეთა” დეპორტაციის სანქცია გასცა და დაიბრუნა იქ მცხოვრები ქრისტიანული სათვისტომო. იმავე მიზეზით ასევე მოიქცა საბჭოთა ხელისუფლება დიდი სამამულო ომის დროს (თურქი მესხების, ყირიმელი თათრების, ჩეჩნების, ინგუშების, ყარაჩაელების, ბალყარების გადასახლება)...**

**...იძულებითი ასიმილაციის წლებში თურქეთში გადასახლებულმა კავკასიელმა ხალხმა პრაქტიკულად დაკარგა ეროვნული სახე, კულტურა, ზოგიერთები კი სულაც გაქრნენ, მაგალითად, უბიხები. იმავე დროს ამ ხალხების ნაწილმა, რომელიც ისტორიულ სამშობლოში დარჩა, შეინარჩუნა და განავითარა მშობლიური ენა, ტრადიციული კულტურა, შექმნა თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ლიტერატურა, თეატრი, ეროვნული სკოლები, უნივერსიტეტები. ასე რომ, ერთმორწმუნე მეზობელთან შერწყმის საკითხი სადავოა. საეჭვოა, რომ კავკასიის ხალხის დიდმა ნაწილმა მათთვის გამზადებული წესებით ცხოვრება შეძლოს და ეს ესმით კავკასიის ხალხის პატრიოტულად ორიენტირებულ წარმომადგენლებს. “პროთურქული ორიენტაციის” მომხრეთა ძირითადი ნაწილი კი იმედოვნებს, რომ მათი ხალხის მიერ აქ შექმნილი ზემოთაღნიშნული სიკეთე დარჩება და მას ახალიც მიემატება...**

**რასაკვირველია, “დიდი თურანის” შექმნის შემთხვევაში გაცილებით ტრაგიკული იქნება ქრისტიანი ხალხის მდგომარეობა. საქართველოს “წინდახედული” პრეზიდენტისათვის, შესაძლოა, ამაში განსაკუთრებით საშიში არაფერი იყოს, მაგრამ ქართველი ერისთვის, მისი თვითმყოფადი ეროვნული კულტურისათვის ეს დასასრულს ნიშნავს. არ ვლაპარაკობ სომხებზე, რომელთა “პრობლემაც” თურქებმა 1915 წელს “გადაწყვიტეს” ორიოდ დღეში მილიონ-ნახევარი ადამიანის ამოხოცვით...”**

მკითხველო, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს სიტყვები იწერებოდა 1996 წელს, 18 წლის წინათ, როცა თურქეთი ჯერ კიდევ არ იყო ისე ძლიერად **“ფეხშემოდგმული”** საქართველოში, როგორაც დღესაა.

როცა წინდაუხედავ მავანს ჭკვიანი კაცი გააფრთხილებს იმის თაობაზე, რომ მის გაუაზრებელ ქმედებას შეიძლება გარკვეული საფრთხე მოჰყვეს, წინდაუხედავი კი ამ რჩევას უგულვებელჰყოფს, როგორც კი ეს უკანასკნელი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ჭკვიან კაცზე იტყვის, რომ მაგან დამთარსაო. ამასთან დაკავშირებით, ერთი სახალისო ამბავი მახსენდება, კახელ კაცს რომ შეემთხვა:

მოდის კახელი მიხო ტყეში ფიჩხის შესაგროვებლად და დაინახა, რომ მისი მეზობელი მიტუა მაღალ ხეზე შემომჯდარა და დიდის მონდომებით ხერხავს ხის იმ ტოტს, რომელზეც ზის.

– რასა შვრები, მიტუა, ეგრე ხომ ჩამოვარდები! – გააფრთხილა მიხომ.

– წადი, საქმე ნახე, ჩემს საქმეში ნუ ერევი! – დაუღრინა მიტუამ და ხერხვა განაგრძო.

წავიდა მიხო, შეაგროვა ფიჩხი, დაბრუნდა უკან და ხედავს, რომ მისი მეზობელი მიტუა ხიდან ჩამოვარდნილა, ტკივილებისაგან ოხრავს და იკლაკნება.

– ხომ გაგაფრთხილე, მიტუავ, ჩამოვარდები-მეთქი, – უთანაგრძნო მიხომ.

– შენ რომ კაცს დათარსავ, უარესიც დაემართება! – უსაყვედურა მიტუამ.

მართლაც ასეა ჩვენი საქმე – პოლიტიკოსი ჯერ კიდევ თვრამეტი წლის წინ გვაფრთხილებდა, მაგ გზით ნუ ივლით, თორემ მტკივნეულად დაეცემითო, ახლა კი, როცა მისი ყველა ავი წინასწარმეტყველება აგვიხდა, ლამისაა ვუსაყვედუროთ – რატომ დაგვთარსეო!

არა და, უკვე ხიდან ჩამოცვენილები რომ ვართ, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ბათუმში თურქები ქართველ მღვდლებს ქუჩაში სიარულს უკრძალავენ, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, თურქი რესტორნის მეპატრონეები, საღამოს საათებში, ეთნიკურ ქართველებს რესტორნებში არ ატარებენ...

წარმოიდგინეთ, რომ ამას სჩადიან სააკაშვილისა და თურქზე გათხოვილი დედამისის გიული ალასანიას აღვირახსნილი ძალადობის ჟამს საქართველოში **“სტუმრად”** ჩამობრძანებული თურქი მოქალაქეები, რომლებიც თითქოს და არ უნდა იყვნენ მიდრეკილი ძალადობისაკენ, მაგრამ განა ისტორიულად დამტკიცებული რეალობა არ გახლავთ, რომ ისინი ყოველთვის ატარებდნენ ფარულ თუ ღია სიძულვილს ქრისტიანების მიმართ?!

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ **ნატო**-ს ეგიდით (რომლისაკენაც ჩვენ ბრმად მივისწრაფით) საქართველოში სწორედაც რომ თურქი სამხედროები შემოვლენ (და არა ამერიკელები, როგორც ეს ჩვენ გვგონია). ძალადობა და თავხედობა მერე ნახეთ თქვენ, რადგან ელემენტარული კულტურა და თურქი ასკერი ისევე **“ახლოს”** დგანან ერთმანეთთან, როგორც მზე და დედამიწა!

ეს, რაც შეეხება თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ რა საფრთხეები შემოჰყვება ფუნდამენტურ ისლამიზმს, ეს კიდევ ცალკე მსჯელობის საგანია.

არ ვიცი ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ საქართველოს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ამ პოლიტიკური ორომტრიალისაგან კარგს რომ არაფერს გამოელის, ფაქტია!

ისიც საკითხავია, თუ ვის აძლევს ხელს საქართველოს პირისაგან მიწისა აღგვა? რა თქმა უნდა, მხოლოდ მათ, ვისაც ყელში თევზის ფხად აქვს გაჩხერილი ქართული ეროვნული ერთგულება ისტორიული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობისადმი. ასეთებად კი მე მხოლოდ აგრესორი ამერიკელები და გაპედერასტებული ევროპელები მეგულებიან, რომელიც სოდომური ცოდვისადმი ჩვენს გაუცხოებასა და ზიზღს ჩვენს უკულტურობასა და ბარბაროსობას მიაწერენ.

ქართველებს კი ვერა და ვერ მოგვიცლია საკუთარი საშინაო საქმეების მოსაგვარებლად და ახლა მხოლოდ იმ საქმეებით ვერთობით, რომელიც დამნაშავე ნაცების წინააღმდეგ არის აღძრული. ამასობაში კი თვალებდაქაჩული და ყურებმიყურსული მტერი ჯიუტად მოიწევს ქართული მიწებისაკენ. და, ყველაზე სავალალო ის გახლავთ, რომ ამ სავაგლახო პერიპეტიებში ჩვენ თავადვე ვეხმარებით მტრებს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ ამას წინათ ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის საქმეებში არსებული ყოველგვარი შეზღუდვები მოხსნა. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ყოველთვის არ ამართლებს ლელთ ღუნიას მწარედ ამონაკვნესი **“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს”**, განსაკუთრებით მაშინ, თუ მცნება **“ჩვენადვე”** ჯერ კიდევ გადაჭედილია საქართველოს სულიან-ხორციანად გამყიდველი ნაცებით!

დრო კი არ ითმენს, რადგან ვიდრე ჩვენ სალათას ძილიდან გამოვფხიზლდებით, შეიძლება საკუთარ ქვეყანაში თეიმურაზ ხევისთავივით ჯაყოს ხიზნებად ქცეულებს გამოგვეღვიძოს!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

# ქადაგება „ქართული კვერთხი“-სა



ქადაგება **„ქართული კვერთხი“**-ს ეს გამოქვეყნებაა (გაზ. **„კოლხური კოშკი“** 1996 წ. 20 თებერვალი №7) ნამდვილი, ავტორისეული, საერო და სასულიერო ცენზურისაგან შეურყვნელი.

ამ ქადაგებას, რომ ქრისტიანთა მოწონება ჰქონია, სამეგრელოს ეპარქიათა მრევლის მიერ ეპისკოპოს ბენედიქტესადმი საჩუქრად მირთმეულ, ჯვრებს დართულ სურათი ამ წერილიდანაც (ხს. გაზ. №8) სჩანს, საწინააღმდეგო აზრიც და ამიტომ შევეცდებით ამ ქადაგების უფრო სრული **„ბიოგრაფიის“** მოცემას, რაც ორმხრივ აზრიანთათვის ფასიანი იქნება.

თუ სად წარმოითქვა ეს ქადაგება (ტფილისი. სიონი), რა წრეში (შობადღის იუბილარი ილია II და ეპარქიათა ეპისკოპოსები; უნდა ვიგულისხმოთ დიაკვნები, მღვდლები და საყდრის მრევლიც, ვინაიდან წირვაზე თქმულა), და რისთვის წარმოითქვა **(„შესავალად და შესაცნობად ქართული სამღვდელმთავრო კვერთხისა“)**, – თავად მეუფე ბენედიქტეს უპასუხნია ქადაგებით და თავმდაბლურადაც დაუძენია: **„რაც ჩვენგან ითქვა ... ნატამალია“**-ო იმ ჩვენი სისხლის, კალმის და სიტყვის მიერ სამყაროს ერთათვის გაღებული ამაგისა, ტომს რომ შეგიდგენს და დაერქმევა: **„ქართული ეკლესია და მსოფლიოს ქრისტიანობა.“** ამგვარი კარგი წიგნის შესავლად დიახაც, ივარგებდა ეს ქადაგება და, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ერთადერთია ქართული კვერთხის ქებად.

როდის წამოითქვა ქადაგება? – 1979 წელს. იგი თავიდანვე **„საბანკეტოდ“** ყოფილა ჩაფიქრებული იოანე ჭყონდიდელის (ანანიაშვილი) სამყოფლო მენჯში. ორივეს ჰქონია მთაწმიდის ბანკეტზე მიწვევის ბარათ-საშვი, სადაც უცხოეთის ეკლესიათა წარმომადგენლობას უმართავდნენ სადილს. და აი, ორთავეს ჰსურს ეს მიწვევა ქართული ეკლესიის სარგოდ გამოიყენონ. იოანე ითხოვს და იწერება ქადაგება.

ბანკეტის გახსნის წინა წუთები... ილია მეორე უარს არაა, გახმაურდეს **„ქართული კვერთხი“,** მაგრამ ზემდგომი ცენზორები სინოდისა და სარწმუნებულოისა? საშიშრად მიუჩნევიათ, ამოუჩეხიათ სტრიქონები და აბზაცები, გადაუხაზ-გადმოუხაზავთ... ჩაშლილა გამოსვლა სიტყვით, ავტორს არ მიუღია ცენზორთა შენიშვნები. პოეტ იოსებ ნონეშვილს უთქვამს: **„მე შევეცდებიო, ამ ქადაგების ჩაკითხვას“.** თვალთა ბრიალით აურთმევიათ. ცენზორობაში **„ხუთიანი“** გაუკრავს ნიკოლოზ ცხუმელს.

ნაბანკეტარზე, იოსებ ნონეშვილი თავისი ერთი ლექსის ერთი სტრიქონის კითხვის ნიშნის დასმით მოიგონებს მეუფე ბენედიქტესთან: **„ირგვლივ არ არის ღერი ბალახიც დღენაკლული და გულდაჩაგრული“?**

ბანკეტის მეორე დღე. სიონი. მიდის საზეიმო წირვა – ილია II დაბადების დღეა. ვინ იქადაგებს, ვის ერგება **„დაუწერელი ფურცელი“** ამბიონზე გასასვლელად? (ვისაც წირვისას **„დაუწერელ ქაღალდს“** მისცემდნენ, იმას უნდა ექადაგნა. ეს ძველი ჩვეულება ყოფილა. ერთხელ ქართლში, ამ **„ჩვეულებით“** უქადაგნია ანტონ ჭყონდიდელს და დიდი ღვთისმეტყველი ანტონ პირველის ამბორს ღირსებია. – ანტონის ქადაგებანის წინათქმიდან, 1988).

და **„დაუწერელი ქაღალდი“** ეპისკოპოსი ბენედიქტეს ხელშია. **„დღეს ჩემი დაბადების დღე არის, მაგრამ დღეს ხომ სხვების დაბადების დღეც არის. ვინ არიან ნეტა ისინი“?** – კარნახობს საიქიოდან შოთა ჩანტლაძე...

ვიდრე საკურთხევლიდან გამოვიდოდა, დღის იუბილარს დაუწევია: **„აი ის, გუშინ რომ უნდა გეთქვა, ბანკეტზე“.**

და ითქვა **„ქართული კვერთხი“.**

პირველი უშუალო შთაბეჭდილებანი მომსმენთა? ინებეთ:

**– „კარგია... რა არის ეს, ლექსია თუ“ (ილია II)**

**– „უძლიერესი ქადაგებაა, უწმიდესო“ (ეპისკოპოსი ქრისტეფორე)**

**– „აბა, რად გინდა, აქედან არ ისმის კარგად.“ – ე.ი. საკურთხეველში ამბიონიდან თქმული – ( ილია II).**

**– „კარგი იყო. აქვე და დღესვე ბევრმა მთხოვა ასლები, მაგრამ სად მქონდა?“ (იოანე ჭყონდიდელი).**

**– ახალი ფორმით და მხატვრულობით თქმულია“, ეტყვის ქადაგს წმ. ნინოს ჯვართან მდგომარე და გაიხსენებს: „თვრამეტი ეგზარხოსი ასი წელიწადი ტყავს ჰხდიდა მას.“ ეს იყო მაშინ ილია II მდივან-რეფერენტი ზურაბ ჭავჭავაძე.**

მერმეთ, სიონში საყვედური დაცდება ზვიადს: **„გიქადაგნია აქ, რომ მცოდნოდა, მეც მოვიდოდი“.**

ამჯერად ვიკმაროთ. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ამ ქადაგებას, ვინაიდან თქვენსავით გვამახსოვრებდა ცალკეული მუხლები (**„ვინა თქვა ძლევაი ჩვენი ვეფხისტყაოსნიანი მამებისა?“ „პატარა კახის ტრაქტატითაც ფრიად ვნებულია იგი“** და სხვაც არა ერთი – ცენზორთაგან ამოჩეხილი მაშინ).

**ნანა კალანდია**

## ქართული კვერთხი

რომ საქართველო წილხვდომილია დედუფლისა, რომ ბაგრატიონები შთამომავალია მეფსალმუნისა, რომ ბიბლიაში შესხმაა ქართველური ხალხებისა, რომ საღვთო წერილებში სუნთქვაა ბატის ფრთის კალმის ჩვენებურადაც მოსმისა, რომ ქართლ-კოლხური მიწა-წყალი მონაქადაგარია ათორმეტთაგანებისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ ჩვენი წინაპრებიც თვალით მხილველია; სულთმოფენობით ათორმეტთა ეპისკოპოსებად კურთხევისა, რომ ჩვენი ძვლებიც ადრესატია პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლისა, რომ **„სვეტიცხოველის“** საყდარს აბარია ხალენი წინასწარმეტყველისა და კვართი ღმერთკაცისა, და მიწასვე ქართულს – საფლავები ნიკოფსიასა და მურში; სვიმონ კომანელისა და მაქსიმე აღმსარებელისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ წმიდა ანტონს ედესიდან გამოჰყვა ხატი ხელთუქმნელი მაცხოვრისა. რომ წმიდა სერაპიონს გამოეგზავნა ყავარჯენი სვიმეონ პირველი მესვეტისა, რომ წმიდა ილარიონის სხვაგან გადასვენებამ გამოიწვია აჯანყება თესალონიკელებისა, რომ კედარი მცხეთისა ერთადერთი არს აღმომაცენებელი წმიდა მირონისა, რომ უქმეთა მოდღესასწაულე ერზე უხვად და უწინარეს სხვებისა გგჩვევია გაღება მოწყალებისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ იოანე მოსხია უმჯობესი მაგალითი სულიერი მამობისა, რომ ერთა მოსარჯულებლად ჩვენ არანაკლები მოგვცემია მადლი მოსახდენად ასობით სასწაულებისა, რომ ჩვენი ქალაქი პატარა ადგილია ბიბლიური კედელმხატვარობის სამოელქვეყნოდ დაწესებისა და რომ **„მიერითგან ისწავეს გამოწერა ხატებისა“,** რომ რომთან ერთად მხოლოდ ჩვენ ვიყავით ოდეს მფარველები და მაკურთხებლები ხატმებრძოლთაგან დევნილებისა და დღემდის გვიუქმს სახელი ხატთაყვანისმცემლობის განმამტკიცებლებისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ ჩვენ ვიყავით სირიასა, რუმინეთსა და რუსეთში (პეტრე იბერი, ანთიმოზ ივერიელი, გაიოზ რექტორი) გამოჩენილი ეპისკოპოსები, რომ ჩვენ ვიყავით ალექსანდრიის, იერუსალმის და კონსტანტინეპოლის ნებითი პაპა და პატრიარქები (კვიროსი, იობენალი, გერმანე მესამე), რომ ჩვენ ვიყავით აქტიური წევრები შვიდივე მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და მათში მეინახეც (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი) ერთისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ უჩვენოდ არ შედგენილია მუხლები **„მრწამსისა“**, რომ ჩვენ ვიყავით აზიასა და ევროპაში (პალესტინის იერუსალიმში, ბულგარეთის: სტენიმახში, მარმარსა და პრილონგში – ერთ-ერთი პირველი ამშენებლები წმ. ადგილების მომლოცველთათვის საერთაშორისო სასტუმროებისა, რომ ჩვენ ვიყავით ძველი ათონის მრავალეროვან ლავრისთვის მომპოვებლები სტავროპიგიული უფლებებისა, და რომ ჩვენ ვართ ავტორები (წმ. გრიგოლ ნაზიანძელი, წმ. ბასილ დიდი) სადიდმარხვო ლიტურგიებისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ ჩვენ ვართ შემდგენლები შვიდი კრების **„კანონთა თანა აღრაცხულნი“** ასნახევარზე მეტი კანონებიდან უმეტესისა, რომელთა **„შედგომაი და მტკიცედ პყრობაი უხმს ერთბამად ყოველსა სავსებასა ეკლესიისასა“**, რომ ჩვენი ტიპიკარი და მამაოსარდლების ხმლის ოსტატური მოქნევაც იყო განმხანგრძლივებელი და შემნარჩუნებელი ბიზანტიის სახელმწიფოს სიცოცხლისა და თავისუფლებისა (იყავით გამხსენებლები ბაკურიანის-ძე გრიგოლის და თორნიკე ერისთავის ბიოგრაფიებისა და პირველის სიტყვებისა: **„და უკეთუ ვთქუა თუ, მცირედნიღა ვინ ჩუენგანნი მომკუდარ არიან სარეცელსა ზედა თვისსა მშვიდობით, რომელნი არ ხელთაგან საბერძნეთისა და ძელისა ცხორებისა მტერთაისა მახვილითა მომწყდარ არიან, არა ეტყუვი-ო“**), და, რომ **„ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოსაგან“** არსებობა იერუსალიმის საპატრიარქოისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ ათზე მეტი ქართველი ქადაგები კონტინენტთა ქვეყნებში იყვნენ მომქრისტიანებელნი ასიათასობით ადამიანებისა, დამმოძღვრელნი სომეხთა და ბერძენთა, ჰრომთა და სლავთა სავანეების მამასახლისებისა, ელინთა მთავრებისა, დედოფლებისა და კეისრებისა, რომ მათ მიერ მოქცეულებიდან ბევრმა (დეოკლიტიანე კეისრის მეუღლე ალექსანდრამ, ელენე ჯვართამმაღლებელმა, ღვლიკერმა...) მიიღო პატივი წმიდანობისა, რომ ქართული ეკლესია სამოციქულოა და ახალ აღთქმას უბოძებია (და სხვამც ყოველი ერისთვის) უფლება თვით მწყსობისა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

რომ თუ წმიდა გიორგი არა, ბერძენი ხალხი მიიქცეოდა **„კერპთა თაყვანის ცემად და მსახურებად“** შიშქვეშ მათივე მეფის ბრძანებისა; რომ თუ მოციქული წმიდა ნინო არა, არ გვექნებოდა ძელიცხოველი და დღე-უქმე ჯვართამაღლებისა, და იქნებ, არც ვის გამოეცა **„მილანის ედიქტი“**; საბერძნეთში ქრისტეს სჯულის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ერთ-ერთი ფესვთაგანი, შემწყნარებელიც მსოფლიო ქრისტიანებისა? და რომ რაც ჩვენგან ითქვა (წინაშე ამ ტფილის-სიონის სამწყსოისა, დეკემბრის ოთხსა, დღესა დაბადებისასა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილისა მეორისა, თანდასწრებითა იუბილარისა და ეპარქიათა ეპისკოპოსებისა) შესავალად და შესაცნობად ქართული სამღვდელმთავრო კვერთხისა, ნატამალია იმ ჩვენი სისხლის, კალმის და სიტყვის მიერ სამყაროს ერთათვის გაღებული ამაგისა, ტომს რომ შეგიდგენს და დაერქმევა: ქართული ეკლესია და მსოფლიოს ქრისტიანობა, – მსოფლიოს საპატრიარქოებმა კარგად უწყოდნენ და უწყიან.

და ზოგი მათგანები ჩვენს ძირძველ ავტოკეფალიას რას ეღრიჯებიან? ვინა თქვა ძლევაი ჩვენი ვეფხისტყაოსნიანი მამებისა? აღარ – კი ახსოვთ მარცხი ანტიოქიისა და რუსეთისა? უამაოა მათგან მონასყიდთა ცდა: რომანებით დაგვიმცირონ სახელი ეროვნული ავტორიტეტებისა? ვის შეჰრგებია, ვის შეჰრჩენია ცდა თუ მიტაცება მსოფლიოს საპატრიარქო კვერთხთა შორის დამსახურებით აგრე ტიტულირებული (უწმიდესი, უნეტარესი, კათოლიკოსი, პატრიარქი) ქართული კვერთხისა?

ქართული კვერთხი! ქართული კვერთხის სასწაულს აუშენდა ქვაშვეთის ტაძარი, ქართული კვერთხის ძლევამოსილება ეხიდა ომარ სპასპეტს მტკვარზე, ქართული კვერთხის მადლმა კალაპოტი უცვალა ქსანს.

ქართული კვერთხი! ოქროს ფონდშია შრომები მისი, თვით გუტენბერგის გადამღელია ტომები მისი, მკვლევართათვის წნევაა მადალი თაბახები მისი.

ქართული კვერთხი! რა აგიოგრაფებსა და მჩხაბავებს, რა ხუროთმოძღვრებსა და ხატვარებს სჭერია იგი, რა ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფოსების ხელშია გამოვლილი იგი, **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორს უტარებია იგი.

ქართული კვერთხი! დიპლომატიურ ქორწინებათა ნებამრთველია იგი, ქვრივასულობლებზე ბეითალმანური წესის აღმკვეთელია იგი, ადამიანებით მოვაჭრე ბაზრების მოანათემეა იგი, მოქალაქობით ბერობის გასაიდუმლოების პროტესტანტია იგი, **„ლაშქართა მიმცნებითა“** მტრიანი ციხის ამღებელია იგი, გაპირველვაზირების მომსწრეცაა იგი, მშვიდობის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ერთი ექვსთაგანი პრეზიდენტია იგი (ო, რა შეშფოთებულია ჯორდანვილელი ამბერკი იგი?).

ქართული კვერთხი! ასე ოცზე მეტი ეპარქია უმწყსია მას, მრავალშვილიანები მამულებით უჯილდოებია მას, სააკაძისთვის სპა საკუთარი უნდვია მას, თავაშვებული მეფე – თავდადებული გაუხდია მას, ერისთვის; **„დიდი“, „ბრწყინვალე“** და **„აღმაშენებელი“** – მეფეებად რომ უკურთხებია მას.

ქართული კვერთხი! სულიერ შვილთა სიყვარული ჰმოსია მას, ექსორიობაში დალეულები ახსოვს მას, **„აქტი გონიურის“** შემთხზველი ციხეში დაღუპვია მას, ყიფიანის მამულიშვილობა შეწირვია მას, კირიონის სისხლი მოპარული აცხია მას (ახიაო მაგაზე; **„კულტურნაია როლ ივერიი ნა ისტორიი რუს“**-ით სამწყსო აუჯანყებია, ეგზარხოსი გაუძევებია და პატრიარქობა ისევ რად აღუდგენია მას?) თვრამეტი ეგზარხოსი ასი წელიწადი ტყავს ჰხდიდა მას, სინოდი – **„პეტრე პირველის უკანონო ქმნილება“** დღემდე ემაჯლაჯუნება მას, ნიკოლოზ დურნოვოს ბადიშებიც ეზრდებაო მას.

ქართული კვერთხი! პატარა კახის **„ტრაქტატი“**-თაც ფრიად ვნებულია იგი; თუ ინებებ, რუსეთის მონარხო, მერვე საეპარქიო კვერთხად აქციეო იგი და ნიადაგ სინოდის ჩლენობით იმონ-ითაყვანეო იგი.

ქართული კვერთხი! ანტონ მეორის ზეობაში, პატარა კახის შემჩვენებელია იგი, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორია იგი, აუწონავი სისხლის ფასად პატრიარქობის აღმდგენელია იგი, გარნა, იცით-კი, სიონში რად ხიზნობს და საპატრიარქო მცხეთისკენ პატრიარქს რატომ არ მოუწოდებს იგი? **„სვეტი-ცხოველის“** სავანიდან ანათემირებულის ამოკვეთას მოელოდებაო იგი.

ქართული კვერთხი! კლდესა ზედა დამდგარია ეკლესია მისი, ერში მარად მზარდია სასოება მისი, მუზეუმში აღარც ზღაპრად შებრძანება მისი, მეორედ მოსვლამდეო ლოცვა-კურთხევა მისი, ერთა მეგობრობის მდადია მოპატრონე მისი, ეროვნული გმირების წმიდანებად შემრაცხველია კრებები მისი, დედა-ენის გადარჩენის მემთავარწილეა მეუფება მისი.

ხანდახან ეშმაკებსაც სჩვევია შეპყრობა მისი, იონას ბედისა სამწყსო მისი; უსიკვდილოა დრო და დრო ჩაყლაპვა მისი, მწამს – ღვიძილში ხარ, მწამს ღვიძილში ხარ მრევლი მისი, შენი შერჩეულიც არს, შენი შერჩეულიც არს მსახური მისი?

**„ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“**

**ბენედიქტე**

*ვინა თქვა ძლევაი ჩვენი ვეფხისტყაოსნიანი მამებისა?*

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

*ერისა და ეროვნული მოძრაობის საკითხი სოციოლოგიის ერთ-ერთი უძირითადესი და ურთულესი საკითხია. დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული ერის ცნება: რა ნიშნები ახასიათებს ერს, როდის მოხდა ისტორიაში ერების წარმოშობა, როდის, როდის იწყება ეროვნული მოძრაობა, როდისაა ის პროგრესული ან რეაქციული, ვინ ხელმძღვანელობს...*

*ამ საკითხებზე სწორი, მეცნიერული პასუხების გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ მთელი კაცობრიობის ისტორია* – **"საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები".**

*აღნიშნულ თემაზე, ამას წინათ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე* (საქართველოს ისტორიის მიმართულება) *ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი წარადგინა ბატონმა* **იბორ კეკელიამ,** *რომელიც წარმატებით იქნა დაცული. ნაშრომის სათაური გახლავთ* **"სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია",** *რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი* **გიორგი მჭედლიძე.**

გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ თემას.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საქართველოს ისტორიული წარსულის სურათის აღდგენის საქმეში საისტორიო გეოგრაფიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი ქრონოლოგიურად შეისწავლის გარკვეულ ტერიტორიასთან დაკავშირებულ ფიზიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ (მოსახლეობის) გეოგრაფიას. მისი შესწავლის ობიექტია აგრეთვე ტოპონიმები – გეოგრაფიული სახელწოდებანი (ხარაძე 2003, 4-5).

არქეოლოგიურ, კარტოგრაფიულ, წერილობით წყაროებსა და ტოპონიმებზე დამყარებული სამეცნიერო დისციპლინის – საისტორიო გეოგრაფიის ფუძემდებლის პატივი ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII საუკუნის გამოჩენილ მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს – ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1757 წწ.) ერგო. მისი ნააზრევი მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. ევროპული ცივილიზაციისა და მეცნიერების დონეზე ამაღლებულმა, ენციკლოპედიურად განათლებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ – მთარგმნელმა, ლექსიკოგრაფმა, ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა და გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი **„აღწერა სამეფოსა საქართველოსა".** ამასთანავე, ვახუშტის **„აღწერა"** საქართველოსა და მისი მეზობელი რეგიონების მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ვახუშტი საქართველოს რუკების ორი ატლასის ავტორია. ერთზე მუშაობა დაუსრულებია 1735 წელს, მეორეზე – 1743 წელს.

ვახუშტი იყო შვილი ვახტანგ VI-ისა (1703-1714/1716-1724 წწ.) და ერთ დროს ქართლის მეწინავე სადროშოს სარდალი, ამასთანავე, გარკვეულ პერიოდში – სამეფოს დროებითი მმართველი და გამგებელი, მაგრამ, აკად. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, სახელმწიფო ასპარეზზე დაუჭკნობელი ღვაწლის მოპოვების მიუხედავად, მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა მეცნიერების მაღალ სფეროში, როგორც ისტორიკოსმა და ქვეყნის აღმწერმა (ჯავახიშვილი VIII, 1977, 325).

ვახუშტი საგანგებოდ მსჯელობს საისტორიო თხზულების **(„მატიანის")** შემადგენელ ნაწილებზე და თვლის, რომ სანიმუშო საისტორიო თხზულება უნდა შეიცავდეს **„ადგილის აღწერას",** ანუ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, **„ნათესავმეტყველებას"** ანუ გენეალოგიას, **„წლის მრიცხველობას"** ანუ ისტორიულ ქრონოლოგიას და **„მოქმედების აღწერას"** ანუ საკუთრივ ისტორიას-თხრობას მოვლენების შესახებ (**„ქ. ცხ."** IV, 1973: 4).

ვახუშტის ძირითადად საისტორიო ხასიათის თხზულებაში მოცემულია საქართველოს რეგიონების აღწერა ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობისა (ხეობები, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები...) და სამხედრო-პოლიტიკური დანაწილების (საერისთავოები, სასპასპეტოები, სადროშოები...) შესაბამისად. მოცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული (ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური) და ეკონომიკური დახასიათება.

ვახუშტიმ მეცნიერული მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო. მან გადაამუშავა იმ დროისათვის მისთვის ხელმისაწვდომი და საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ყველა საისტორიო წყარო – **„ქართლის ცხოვრება",** სხვადასხვა ეპოქის სიგელ-გუჯრები და ა. შ. მართალია, იგი თავის შრომას რუსეთში 1742-1745 წლებში წერდა, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შეფასებით, ნაშრომისათვის საჭირო მასალა ვახუშტის საქართველოშივე, რუსეთში გადახვწამდე, ე. ი. 1724 წლამდე, სათანადო გეგმის მიხედვით უნდა ჰქონოდა შეკრებილი (ბერძენიშვილი 1941: XVII-XIX).

**„მატიანედ"** წოდებულ ნაშრომში საქართველოს კუთხეების ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერას ვახუშტი ასეთი თანმიმდევრობით გადმოგვცემს: 1. ქართლი; 2. ჰერეთი; 3. ოსეთი; 4. სამცხე-საათაბაგო; 5. კლარჯეთი; 6. ეგრისი (ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი).

პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავდა, რომ ვახუშტიმ საქართველოს ისტორიაში შეიტანა ის, რაც მას აკლდა. ეს არის ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათება. ვახუშტის აღწერა ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის გეოგრაფიული გამოკვლევაა, რაც უხვად შეიცავს ისტორიულ ცნობებს (გაბაშვილი 1969: 102-103).

სახელოვანი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამა თუ იმ რეგიონისა თუ ცალკეული გეოგრაფიული ობიექტის დახასიათებისას, მისი სარგებლიანობისა და წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

ვახუშტის ისტორიის გეოგრაფიულ ნაწილს ლაკონური მსჯელობა და საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა გამოარჩევს. ამის თვალსაჩინო მოწმობაა მდინარეთა დახასიათება. ვახუშტი მიუთითებს მდინარის სათავეს, დინების მიმართულებას ცალკეულ მონაკვეთზე, დინების ხასიათს. აღწერს მდინარეთა ნაპირებს, ასახელებს შენაკადებს და ა. შ. გეოგრაფიული ადგილების სამეურნეო და ბოტანიკურ დახასიათებასთან ერთად ბატონიშვილი მსჯელობს ამ ადგილთა მდებარეობის ისტორიულ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, აღწერს ბუნებრივ პირობებს, გვთავაზობს ცნობებს წიაღისეული სიმდიდრეების შესახებ (ხანთაძე 1985: 114).

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ორ ატლასად შეკრული, ტოპოგრაფიული დეტალურობითა და სისრულით შედგენილი რუკები ადასტურებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის უთვალსაჩინოესი კარტოგრაფი იყო. კარტოგრაფიულმა ნამუშევრებმა მის ავტორს სიცოცხლეშივე აღიარება მოუპოვა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანს რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობების კვლევა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და, მაშასადამე, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორიისადმი მკვლევართა ინტერესი საგრძნობლად გაზრდილია, მიზნად დავისახეთ ორი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის – ოდიშისა (სამეგრელოს) და აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საისტორიო გეოგრაფიის მთელ რიგ საკითხებზე ცალკე და საგანგებო გამოკვლევის შექმნა.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების მიმოხილვისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ თუკი ვახუშტის ნაშრომსა და რუკებზე ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთისა და ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთის, დასახლებული პუნქტები თითქმის სრულადაა მოცემული, იგივეს ვერ ვიტყვით აფხაზეთის, ოდიშის, სვანეთის, ლეჩხუმისა და გურიის მხარეებზე. **„ვახუშტის სამეგრელოსა და აფხაზეთში არყოფნის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის პოლიტიკური ვითარება, რომელიც უფრო გვიანაც გრძელდებოდა"** (ხარაძე 2013: 99).

აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი არ წარმოადგენს ამ პოლიტიკური ერთეულების საისტორიო გეოგრაფიის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ამგვარი სამუშაო კარგა ხნის წინ ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებმაც სათანადო მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით საფუძვლიანად განიხილეს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის მრავალი საკვანძო საკითხი.

ოდიშ-აფხაზეთის შესახებ ვახუშტის მონაცემების ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ახლებურად იქნას გააზრებული; ამასთანავე, გასწორდეს და დაზუსტდეს ვახუშტის მიერ ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციასა დაშვებული გარკვეული უზუსტობანი. ნაშრომში ასევე ახლებურად და ფართოდაა გაშუქებული ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია მდინარეთა ხეობების მიხედვით, მოხმობილია დამატებითი საარქივო და სამუზეუმო მასალა, აგრეთვე ტოპონიმური მონაცემები ცალკეულ ფეოდალურ ერთეულთა საზღვრების დასადგენად.

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიცია – საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მიმოხილვა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო რეგიონიდან (ჯავახიშვილი 1989: 6), ჩვენი საკვლევი თემატიკის შემთხვევაში მრავალ უხერხულობას და გაუგებრობას ქმნის. ამიტომ შევეცადეთ ვახუშტის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის დაცვას. კერძოდ, ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარის – აფხაზეთის ისტორიული წარსულის ობიექტური შეფასება-შესწავლა დღევანდელი გადასახედიდან მით უფრო აუცილებლად გვესახება, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაცია ისტორიული სამართლიანობის უგულვებელყოფით, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევითა და აფხაზეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად აღიარების გზით, მიზანმიმართულად საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას და ცდილობს, ღრმა უფსკრულის გაჩენას ქართულ-აფხაზურ საუკუნეობრივ თანაცხოვრებაში. ამასთანავე, განსაკუთრებით მომრავლდა აფხაზი და რუსი მეცნიერების მცდარი დებულებების შემცველი **„გამოკვლევები",** რომლებშიც ავტორები ცდილობენ, რადიკალურად განსხვავებულად განიხილონ და მრუდე სარკეში წარმოაჩინონ აფხაზეთის ეთნოისტორიის საკითხები.

## თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია

საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესახებ მსჯელობა, ბუნებრივია, ვახუშტი ბაგრატიონით უნდა დავიწყოთ. მისი ნაშრომის რამდენიმე გამოცემა განხორციელდა. მათ შორის გამორჩეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეებად მიჩნეული პერიოდის (V-XVIII სს.) ყველაზე ცნობილი საისტორიო წყაროების **„ქართლის ცხოვრების"** სერიით გამოცემა. აღნიშნული სერიის IV ტომი ვახუშტი ბატონიშვილის **„აღწერა სამეფოსა საქართველოსას"** ეთმობა. მისი გამოცემა 1973 წელს განახორციელა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა, რასაც ერთვის რედაქტორის ვრცელი შესავალი. ჩვენ სწორედ ამ გამოცემას ვეყრდნობით. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ცნობები გადმოცემულია ნაშრომის იმ თავში, რასაც შემდეგი სახელწოდება აქვს: **„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა".**

ვახუშტის თხზულებაში მოცემული ისტორიული ცნობების გასააზრებლად მოვიხმობთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წინამორბედ და მომდევნო თაობის ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა იმ ცნობებს, რაც საკვლევ თემატიკასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, შევეცადეთ, მონოგრაფიაში შეძლებისდაგვარად აგვესახა საკითხი, თუ როგორ არის წარმოდგენილი ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია ბატონიშვილის ნაააზრევში, და ამავდროულად განხილვის საგნად გვექცია ისტორიული ლიტერატურა, თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის თანამედროვე ვითარება, ვინაიდან ჩვენი კვლევა-ძიების უშუალო საგანს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებთან ერთად საკუთრივ ისტორიული ლიტერატურა, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის წყარო, წარმოადგენს.

ვახუშტის ცნობებს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს მისი წინამორბედი, თანამედროვე და მომდევნო თაობის უცხოელი და რუსი ავტორების – არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე დე კასტელის, ჟან შარდენის, მაკარი ანტიოქიელის, ევლია ჩელების, ქათიბ ჩელების, ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, მორიც ვაგნერის, ედუარდ აიხვალდის, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის, იაკობ რაინეგსის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ფ. ტორნაუს, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის, ს. ბელოკუროვის, კ. ბოროზდინის, ჟაკ ფრანსუა გამბას სამოგზაურო ჩანაწერები და მოგონებები.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის შესაბამის თავებში ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ვიმოწმებთ და ვაანალიზებთ არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას და ასე ვცდილობთ ზოგიერთი ბუნდოვანი თუ სადაო საკითხისა და ცალკეული ფაქტის დაზუსტებას.

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი და კავკასიელი ხალხის მრავალმხრივი შესწავლისადმი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არქანჯელო ლამბერტს.

მიუხედავად მრავალი ნაკლისა, იტალიელი მისიონერის ნაშრომი **„სამეგრელოს აღწერა",** სადაც ვრცლადაა წარმოდგენილი მხარის ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, უაღრესად ძვირფასი წყაროა ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად. ასევე, რუკა, მასზე გამოსახული ზოგიერთი პუნქტისა და მდინარის შეცდომით ლოკალიზების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წყაროა XVII საუკუნის ოდიშის წარსულის შესასწავლად.

აღწერილობითი ხასიათის ძეგლებიდან ოდიშის სამთავროს შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილის, წარმოშობით სირიელი არაბის – არქიდიაკონ პავლე ალეპოელის (დაახლ. 1627-1669 წწ.) მიერ შედგენილი, XVII ს-ის 60-იან წლებში საქართველოში მოგზაურობის აღწერილობა, რაც 1667 წლის 27 თებერვლით თარიღდება. მამაშვილი საქართველოს 1664 წლის ივლისში სწვევია, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე უკვე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ. მათ ჩვენს ქვეყანაში წელიწადი და ცხრა თვე დაჰყვეს (1664 წლის ივლისიდან 1666 წლის აპრილის ბოლომდე) და ამ პერიოდში შესაძლებლობა ჰქონდათ, გეცნობოდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მდგომარეობასა და ქართული საზოგადოების თავისებურებებს (ასათიანი 1973: 24).

*(გაგრძელება იქნება)*

# ბრალდებები, რის გამოც გიგი უგულავას 7-11 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**გიგი უგულავა პატიმრობაში რჩება, გამოძიება კი გრძელდება...**

გიგი უგულავას ახალი ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, 7-11 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში უგულავას სისხლის სამართალის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა, სადაც განმარტეს, რომ უგულავა დაკავებული არ არის, თუმცა, მეორე დღესვე იგი სასამართლომ დააკავა, რასაც ნაციონალთა ხულიგნური გამოხდომები და ნაცთა ლიდერების კოტე გაბაშვილის, ლევან ბეჟაშვილის და მათი ორგანიზაცია **"თავისუფალი ზონის"** რამდენიმე აქტივისტის დაპატიმრება მოჰყვა.

მოკლედ, ნაცები ისევე უსახელოდ ამთავრებენ სიცოცხლე, როგორ უსახელოდაც დაიწყეს!

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**"ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქ.თბილისის ყოფილი მერი გიორგი უგულავა.**

**გამოძიებით დგინდება, რომ 2007 წლის 07 დეკემბერს, შპს "სი-ტი პარკსა" და ქ.თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარის გაცემის შესახებ", რომლის თანახმად თბილისში პარკირების მომსახურების გაწევა გადავიდა ექსკლუზიურად შპს "სი-ტი პარკ"-ზე, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის (ჯარიმების) 60%-ს მიიღებდა ქ.თბილისის მთავრობა, ხოლო 40%-ს შპს "სიტი პარკი". ამავე ხელშეკრულების თანახმად, შპს "სი-ტი პარკს" მიეცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით – საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის და ამავე კოდექსის 125 მუხლით დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების უფლება.**

**საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად – საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის მიღებული შემოსავლის 40% უნდა წარიმართოს ცენტრალურ ბიუჯეტში, 60% ადგილობრივი ბიუჯეტში, ხოლო ამავე კანონის თანახმად, პარკირების წესების დარღვევისთვის შედგენილი საჯარიმო თანხები ავტომატურად მიიმართება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.**

**მიუხედავად აღნიშნულისა, გიორგი უგულავამ, რომელსაც 2006-2013 წლებში ეკავა ქ. თბილისის მერის თანამდებობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შპს „სი-ტი პარკის" მიანიჭა არამართლზომიერი უპირატესობა, რაც გამოიხატა სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი განკარგვით ზემოაღნიშნული კომპანიისათვის შემოსავლის ხელოვნურად გაზრდაში. კერძოდ, გიორგი უგულავამ შპს „სი-ტი პარკი"-ს სასარგებლოდ, 2009 წლის 11 თებერვალს გამოცემული ბრძანების დანართში განზრახ არასწორი სახაზინო კოდი მიუთითა, რის საფუძველზე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის თბილისელების მიერ გადახდილი ჯარიმის თანხის 40%, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა, გადაირიცხა შპს „სი-ტი პარკის" ანგარიშზე.**

**ამავდროულად, გიორგი უგულავას გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის მერიასა და შპს „ სი-ტი პარკს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში 2011 წლის 06 აპრილს შევიდა ცვლილება №3, რის საფუძველზე კვლავ კომპანიის სასარგებლოდ შეიცვალა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების განაწილების წესი, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის შპს „სი-ტი პარკი" თბილისში საქმიანობით სოლიდური მოგებას იღებდა და სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობდა კომპანიისათვის რაიმე დამატებითი შეღავათის დაწესების აუცილებლობა, შპს "სი-ტი-პარკმა" ხსენებული ცვლილებით თბილისელების მიერ გადახდილი თითოეული ჯარიმიდან დამატებით მიიღო 3 ლარი, 40% წარიმართა კომპანიის ანგარიშზე.**

**ამდენად, ქ. თბილისის მერმა – გიორგი უგულავამ, ცენტრალური ბიუჯეტის განზრახ იგნორირებით, კანონთან შეუსაბამო ბრძანების საფუძველზე შპს „სი-ტი პარკისთვის" დამატებითი შეღავათების დაწესებით, კომპანიის სასარგებლოდ მთლიანობაში გაფლანგა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 1 086 718 ლარის ოდენობით.**

**საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით",** – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

მოკლედ, ზის ახლა კამერაში ხელებზე ბორკილებდადებული უგულავა და სამართლიან სასჯელს ელოდება. საწყენი კი ის გახლავთ, რომ კარგ ქართულ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა კაცი სწორ გზას მაშინ ასცდა, როცა უჯიშო, უზრდელი და აშკარად არაქართული სულის მქონე დაშნაკის მიხეილ სააკაშვილის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც სომხური ცბიერების წყალობით გამდიდრებული გაერიდა გარდაუვალ სასჯელს და ახლა უცხოეთში მორჭმით მჯდომი გვიყოფს ენას, გვემუქრება და სულაც არ ანაღვლებს ის ამბავი, რომ მისი თანაგუნდელები ერთმანეთის თანამოსაკნეებად არიან ქცეული და წლების განმავლობაში უნდა ხეხონ **"ვირის აბანოს"** კედლები.

გამოძიება კი გიგის მიერ წლების განმავლობაში ჩადენი სულ ახალ-ახალ დანაშაულებს ავლენს და ჯერ არავინ იცის, თუ რამდენი წლით გაამწესებენ **"ტანად"** მერს **"ალექსანდრეს ცენტრალში"**.

სწორედ ამან უკარნახა ჟურნალისტ ლ. გოგოლაძეს, რომ შეექმნა **"რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის...უკაცრავად, გიგის ცხოვრებიდან – რა მოენატრება "სვაბოდაზე" მოგულავე უგულავას"**, რასაც სრულად ვთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს:

**"იმაზე, თუ როგორ მოხვდა გიგი უგულავა იმ გაუგებრობაში, რასაც "ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია, ისტორია სდუმს, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახდენი მოხდა და სისხლიც დაიღვარა, უმწიკვლო და თან ნაციონალური. ხან ქვები ესროლეს ბოლნისში და ხან ხელ-კეტები უბრახუნეს ბათუმში, მაგრამ გიგის ყველაფერი ცდებოდა. თითქოს განგება განგებ იცავსო.**

**...მერე მერი გახდა, არა, სქესი კი არ შეუცვლია, ქალაქის მერი გახდა. დიდი ქართველი მომღერლის, ნინი ქარსელაძეს სიტყვები: "ძველია, მაგრამ ასე მგონია, ჩემი ქალაქი ჩემი ტოლია", ზუსტადაც რომ გიგის შეეფერებოდა, რადგან ეგ და თბილისი ერთად დამშვენდნენ, ფერზე მოვიდნენ და იერი შეეცვალათ. თბილისს გუდაური შეემატა, ხოლო გიგის დამატებითი კილოგრამები. სწორედ ამ კილოგრამებს უნდა უმადლოდეს ქართველი ერი, რომ არსებობს "უგულავას დიეტა".**

**გართობაც უყვარდა მერს, ბოროტმა და ავზნიანმა ხალხმა სურათები გაუვრცელეს სტრიპტიზ-ბარში რომ ერთობოდა. დაუნახავია ქართველი ერი, განა გართობაც იმისთვის არ უნდოდა გიგის, რომ ენერგიაზე მოსულს ისევ ქალაქისთვის დაეხარჯა ენერგია?! ისევ ნინი ქარსელაძეს დავესესხები, რომელიც ამბობდა – "არსად ასეთი სიო არა ქრის და სხვას არა ჰგავს ჩემი ქალაქი"-ო, მართლაც რომ ასეა. განა, რომელიმე სხვა ქალაქის მერს დაამუნათებდნენ ამის გამო?!**

**ჭორებიც მუდამ თავს ეხვია გიგის. ჯერ პირველ ცოლთან არ ქონდა ურთიერთობა დასრულებული, რომ მეორესთან დაშორებას აბრალებდნენ, მაშინ როცა კაცი დღენიადაგ ოჯახზე ფიქრობდა, "რომ არა ოჯახზე ფიქრი, ისე დედაქალაქზე ვერ იფიქრებო" – ეს სიტყვები მომღერალ ნინი ქარსელაძეს არ უთქვამს, მაგრამ ბრძნულად კია ნათქვამი.**

**ბინაც დაანგრია გიგიმ თაბუკაშვილის ქუჩაზე. არ მოუვიდა თვალში და აბა რა უნდა ექნა?! სამაგიეროდ ახლა ხომ შენდება იმაზე დიდი, ვიდრე იყო. დიდი საქმეების კეთების დროს გულნატკენი ადამიანები მუდამ არიან ხოლმე და ამ კორპუსის მახოვრებლებიც მათ რიცხვში გადიან. ამ ფაქტს ისე ინანიებდა გიგი, რომ ბევრჯერ უნახავთ ოთახში განმარტოებული მეტანიებს აკეთებდაო. უთქვამს, თუ დამიჭერენ, კარებში დადგით ჩემი საწოლი, რომ ყველამ გადამიაროსო. ნანობს...**

**გიგის მეისტორიეები მძიმედ გაიხსენებენ 2013 წლის 8 თებერვალს, როდესაც საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე გიგი იხვეწებოდა ხალხი გამოუშვით ჩემზეო, მაგრამ არ გაუშვეს. ამის მერე კაცობრიობას ორი კითხვა სტანჯავს, არის თუ არა სიცოცხლე მარსზე და რომ გაეშვათ ხალხი, რას უზამდნენ გიგის. მეორე კითხვაზე პასუხთა უმეტესობა ასე იწყება "დედას...", მაგრამ გაგრძელებაზე დაობენ, მეტიც, ქართველ ექსპერტებსაც კი არ აქვთ ცალსახა პასუხი.**

**გიგი ყოველთვის ქედმაღლობით გამოირჩეოდა. ისე დადიოდა, თითქოს ფიქრობდა, ჩემ ხელზე დასადები ბორკილი ჯერ არ გამოჭედილაო, მაგრამ ერთი წუთით გონება გაებნა (როგორც ქართველი ექსპერტები ამბობენ: ტელეფონის "ნასტროიკებში" პერსონალური ზარის დაყენება უნდოდა, რათა სააკაშვილის ზარზე ენრიკე იგლესიასის "HERO" გაჟღერებულიყო) და სწორედ მაგ დროს გამოუჭედავთ და ეს ფაქტი ვერ გაიგო, თორემ აუცილებლად გაითვალიწინებდა.**

**როგორც უკვე ვთქვით, ბორკილი დაადეს. ცნობილი ქართველი დიაზინერები წერენ, რომ ბორკილი შსს-ს გაზაფხული-ზაფხულის კოლექციიდან იყო, რომელიც ერთნაირად უხდება როგორც ქალაქის ექსმერს, ისე სხვა ექსებსაც, ამიტომ არაა გამორიცხული ბორკილები სხვის ხელებზეც ვნახოთო.**

**ეს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდია ამ დიადი ადამიანის ცხოვრებიდან. ზემოთ დაწერილ ნაშრომს არ აქვს ისტორიული დოკუმენტობის პრეტენზია, ამიტომ მასში მოტანილი ფაქტები შესაძლოა, შეიცავდეს მცირე შეცდომებს (აქ ძალიან მოუხდებოდა ნინი ქარსელაძის რაიმე ნათქვამი, მაგრამ ქართველი ქარსელაძელოლოგები ამბობენ, რომ ამ თემაზე მას არაფერი უთქვამს), თუმცა ამაზე ნუ იდარდებთ. მათ, ვინც ამის წაკითხვის შემდეგ კომენტარებში დაწერს: "ავტორო გგონია ხუმრობ?", "ეს რა უნიჭობა იყო", "არა, ბიჭო ნარმანია აჯობებს", "გიგი ვერ დააფასეთ, უმადურებო" და სხვა. ერთ რჩევას მოგცემთ, ერთი ადამიანი ცოდოა წერით და ვინმე ჩაეცვლეთ ხოლმე.**

**P.S. მე ის მიკვირს, ისე როგორ უნდა მოიქცე ადამიანი, რომ შენი დაჭერა ეროვნულ ზეიმად აქციო?! ამასაც მოხერხება უნდა..."**

**რ. შალამბერიძე**

# სერგეი ლავროვი – მოსკოვი საქართველოსთან კონსულტაციებისთვის მზადაა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი მზადაა საქართველოს, მოლდოვას და უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, ეკონომიკური პოლიტიკის ადაპტაციის მიზნით, კონსულტაციები გამართოს. ამის შესახებ სერგეი ლავროვმა **"Вести в субботу с Сергеем Брилевым"**–სთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი ნებისმიერ მომენტში მზად არის კონსულტაციებისთვის, მათ შორის ქართველ კოლეგებთან, რადგან სავაჭრო ურთიერთობა რუსეთს უკვე საქართველოსთანაც აქვს.

**"ჩვენ და საქართველოს გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები, რომლის გაღრმავება გვსურს"**, – აღნიშნა ლავროვმა.

მისივე თქმით, რუსეთი ამ ვითარებას დააკვირდება ერთადერთი კრიტერიუმით – რამდენად გაურესდება სავაჭრო პირობები რუსეთსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონაში რჩებიან.

**"რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჩვენ გვაღელვებს რუსეთის ინტერესები, ასევე იმ ქვეყნების, რომლებიც საბაჟო კავშირში არიან, კერძოდ, ბელორუსის და ყაზახეთის. ცდილობენ ჩვენ დაგვარწმუნონ, რომ არაფერი საშინელი არ მოხდება და რუსეთიც, როგორც უკრაინა, მოგებული დარჩება"**, – აღნიშნა ლავროვმა.

საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება 27 ივნისს გააფორმეს.

ამ შემთხვევაში, რუსს არაფრისი და არავისი არ შეშინებია! უბრალოდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ მიდგომის სწორი გზა აირჩია. ძალას, ძალა არ დაუპირისპირა. რუსეთისკენ, კეთილმეზობლური დამოკიდებულების ნაბიჯები გადადგა და აჩვენა, რომ მისადმი აგრესიულად არ არის განწყობილი.

ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ საქართველოს ტერიტორიას ვერავინ გამოიყენებს, რუსეთის საწინააღმდეგოდ.

უნდა გავაღრმავოთ სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები რუს და ქართველ ხალხს შორის.

ერთსაც დავამატებ, ღარიბაშვილს სრულიად ვეთანხმები – რომ არა ბიძინა ივანიშვილი და **"ქართული ოცნება"**, ჩვენ ასე ბედნიერად არ გაგვითენდებოდა 2014 წლის 27 ივნისი ბრიუსელში, ვინაიდან სააკაშვილი თავისი **"ნაცმოთი"** აუცილებლად გაგვხვევდნენ უკრაინის გულისთვის უდიდეს შარში და ასოცირების ხელშეკრულების მაგივრად 27 ივნისამდე სააკაშვილი მოუწერდა ხელს საზავო ხელშეკრულებაზე პუტინს და დღეს შეიძლება თბილისში ან თბილისის გარშემო რუსული ჯარები მდგარიყო!!!

# ნიკოლა სარკოზის ბრალი წაუყენეს

საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის ოფიციალურად წაუყენეს ბრალი კორუფციაში, პირადი მიზნებისთვის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში და პროფესიული საიდუმლოს დარღვევის ფაქტის დამალვაში. ამის შესახებ **"როიტერი"** იუწყება.

სარკოზი ნანტერის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის მიზნით 15 საათის განმავლობაში იყო დაკავებული.

გამოძიება მიიჩნევს, რომ სარკოზი, საკასაციო სასამართლოში მისი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების თაობაზე, თავისი ადვოკატის ტიერი ერცოგის მეშვეობით ცდილობდა საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას. სარკოზი საიდუმლო ინფორმაციის სანაცვლოდ მოსამართლე აზიბერს მონაკოში პრესტიჟულ თანამდებობას შეპირდა.

ამასთან, გამოძიების ვარაუდით, 2007 წლის სარკოზის წინასაარჩევო კამპანიას ლიბიის ყოფილი დიქტატორი მუამარ კადაფი აფინანსებდა. 2012 წლის დეკემბერში ფრანგმა ბიზნესმენმა ზაიდ ტაკიემენმა განაცხადა, რომ ლიბიის ხელისუფლების მიერ სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მტკიცებულებები აქვს. მოგვიანებით, გამოქვეყნდა დოკუმენტები, სადაც აღნიშნული იყო, რომ კადაფიმ 50 მილიონი ევრო გადარიცხა სარკოზის საარჩევნო შტაბში.

59 წლის ნიკოლა სარკოზიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა კენჭისყრას.

# ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ – ᲮᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ?

***”ეს სარკინიგზო დერეფანი წამგებიანიც რომ იყოს, ეს იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის გადადგმული ნაბიჯი”***

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი ჩვენს ქვეყანაში დღემდე საკამათოდ რჩება: არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი სიკეთეს არ მოგვიტანს, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, რკინიგზის ამ მონაკვეთის აღდგენის თემას უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. შეგახსენებთ: ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა და სიმწვავე გასული წლის იანვარში შეიძინა, როცა სომხეთში ვიზიტის დროს, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა შესაძლებელია, თუკი ეს ყველა მხარის ნება იქნება. ბიზნესისა და საგადასახადო სამართლის ექსპერტი, **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი აპაკი ჩარბეიშვილი** იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც რკინიგზის ამ მონაკვეთის აღდგენა მნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნია.

– ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ეს საკითხი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უკავშირდება. გადავხედოთ თანამედროვე მსოფლიოს, სადაც ტერიტორიული კონფლიქტები ეკონომიკური ურთიერთობების დახმარებით გვარდება. ამის ნათელი მაგალითია კვიპროსი, ბალკანეთის ქვეყნები, ჩინეთისა და ტაილანდის ურთიერთობა – ყველგან არსებობს ხელშეკრულება ეკონომიკური ურთიერთობების თაობაზე. ეს არის სერიოზული ბერკეტი, რომლის გამოყენებაც კონფლიქტის მოსაგვარებლად კარგად შეიძლება. მე მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა უნდა აღდგეს. მით უმეტეს, რკინიგზის ამ მონაკვეთის თაობაზე არსებობს კვლევები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის ჩატარებული.

**– ბატონო აკაკი, ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იქნება რკინიგზის ამ მონაკვეთის ამოქმედება საქართველოსთვის?**

– ეკონომიკური ეფექტიც რომ არ ჰქონდეს და ეს სარკინიგზო დერეფანი წამგებიანიც რომ იყოს, ეს იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე გადადგმული სერიოზული ნაბიჯი, თუმცა, აქვე უნდა ვთქვა: შეიძლება აფხაზეთის რკინიგზა ეკომონომიკური თვალსაზრისითაც არ იყოს წამგებიანი, ეს ტვირთბრუნვაზეა დამოკიდებული. თუ გავითვალისწინებთ, რა ტვირთები მიედინება აზიიდან რუსეთის გავლით, ან ევროპის მიმართულებით, მაშინ სულ სხვა პერსპექტივა ჩნდება. თანაც, აქვეა ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი... თუ საკმარისი ტვირთბრუნვა არ იქნება, თავისთავად ცხადია, მოგებაც არ გვექნება, მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ჩვენს სახელმწიფოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენით არანაირი დიდი დანახარჯი არ ექნება, იმიტომ, რომ სოხუმში მატარებლები ჩვეულებრივად შემოდიან. ჩვენ აღსადგენი გვრჩება ტერიტორია ინგირის გადასასვლელიდან სოხუმამდე – მხოლოდ ამ მონაკვეთის რეაბილიტაციაა საჭირო. ჩვენ კი, წინასწარ ვამბობთ უარს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ განხილულა. მე ვამბობ, რომ უნდა ვიმუშაოთ, დავარწმუნოთ აფხაზები, დავარწმუნოთ ერთმანეთი, კომპეტენტურმა ხალხმა იმსჯელოს, ისაუბროს ამ საკითხზე და ყველაფერი გონივრულად, დაფიქრებულად გადავწყვიტოთ. თავის დროზე ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით სამაჩაბლოშიც: იმის მაგივრად, რომ იურიდიული რეგულაციები დაგვეწესებინა, ერგნეთის ბაზრობა საერთოდ გავაუქმეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, მსჯელობაც კი არ ყოფილა ამ საკითხზე. მოვა ერთი პოლიტიკური ძალა და გააუქმებს რადაცას, მოვა მეორე – აღადგენს, ასეთი მიდგომა დაუშვებელია!

**– არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა ჩვენ არაფერს შეგვმატებს, რომ მისი ამოქმედება მხოლოდ სომხეთისა და რუსეთის ინტერესებშია.**

– თავისთავად ცხადია. ეს რეგიონული მასშტაბის საკითხია და ამ რკინიგზის ამოქმედება პირველ რიგში სჭირდება სომხეთს, რომელიც ამჟამად ჩიხში იმყოფება და გასასვლელი არა აქვს. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ეს რესურსიც ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენოთ. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, სტრატეგიული საკითხია ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენის გზაზე. თუ ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, ეს რკინიგზა აუცილებლად უნდა გაიხსნას, რამდენად მომგებიანი, ან წამგებიანი იქნება, ეს უკვე მეორე რიგის ამოცანაა.

**– თუ არსებობს რეალური სქემა ამ მონაკვეთის აღდგენისა?**

– **”საქართველოს რკინიგზაში”** ჯერ კიდევ ინახება ნახაზები და სტატისტიკური მონაცემები, სადაც წერია, თუ რამდენი კაცი მუშაობდა სოხუმის სადგურში, ან ოჩამჩირისა და გაგრის სადგურებში. 2003 წელს, ქართული და რუსული მხარის მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაიწყო მუშაობა წინასარეაბილიტაციო, მოსამზადებელ სამუშაოებზე: უნდა მომხდარიყო მთლიანი სარკინიგზო ხაზის დათვალიერება და იმის შესწავლა, თუ სად რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ რკინიგზას საშუალება მისცემოდა და ამუშავებულიყო. ამ ყველაფრის გაცოცხლება შეიძლება და ეს იქნება უზარმაზარი გარღვევა კონფლიქტის მოგვარების გზაზე. თუკი ჩვენ მოვახერხებთ უსაფრთხოების დაცვას და ამავე დროს, შევძლებთ, რომ ეს დერეფანი ამუშავდეს, ძალიან დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. მე სოხუმიდან ვარ და ეს ოცი წელი შურისძიებაზე კი არ მიფიქრია, ვფიქრობ იმაზე, რა დაგვემართა, რატომ დაგვემართა, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება და ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდივარ.

**– რა დასკვნამდე?**

– რომ საბოლოოდ ყველაფერს მაინც ეკონომიკურ და სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავს. ყველამ ვიცით, რომ ადმინისტრაციული საზღვარი ენგურთან გადის, მაგრამ ადამიანები ყოველდღე, ორ-ორი ჩანთით, ან ცხენის ურიკით გადადიან ენგურის ხიდზე, გადააქვთ სურსათი, ავეჯი, ათასგვარი პროდუქტი. ანუ გვინდა თუ არა, ეკონომიკური ურთიერთობა ენგურს გაღმა და გამოღმა მხარეებს შორის არ გაწყვეტილა. რკინიგზის ამოქმედებით უზარმაზარ პრობლემას მოვუხსნით ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ აფხაზებსაც და ქართველებსაც. თუ ამ პროცესების რეგულაციას მოვახერხებთ და ყველაფერი გამჭვირვალე გახდება, მაშინ იქ ჩრდილოვანი ეკონომიკაც აღარ იქნება საჭირო. თუ აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზა გაივლის და სომხეთიდან ამ მიმართულებით ტვირთები წავა, სატრანზიტო ღირებულების ნაწილი ხომ ჩვენთან დარჩება? – როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დერეფნის აღდგენა მარტო სომხეთს აძლევს ხელს? ეს არის კიდევ ერთი გზა, რომ ეკონომიკური ურთიერთობა გამოვიყენოთ პოლიტიკური და უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობების აღსადგენად. ფაქტია, რომ ეს სატრანსპორტო დერეფანი არსებობს, პროცესში ჩართულია ნეიტრალური მხარე, კერძოდ – შვეიცარია და ჩვენც უნდა გამოვიყენოთ ეს რესურსი. მით უმეტეს, რკინიგზა უფრო ადვილი გასაკონტროლებელია, ვიდრე ჩვეულებრივი, საგზაო მონაკვეთი.

აფხაზები დიალოგისთვის ყოველთვის მზად არიან. მთავარია, სწორად მიუდგე და ურთიერთობა მოახერხო. როგორ ახერხებდა ამას ირაკლი ალასანია, როდესაც მინისტრი იყო? ერთხანს გოგა ხაინდრავა იყო მინისტრი და მაშინაც შედგა სპეციალური პროტოკოლი, რომლის ძალითაც სოხუმსა და თბილისს შორის ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაწყებულიყო. სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფო ეკონომიკურ ბერკეტებს ისე ვერ იყენებს, როგორც საჭიროა. აფხაზეთი დღეს ფინანსდება რუსული ფულით, მათ აქვთ რუსული პასპორტები და სერიოზულ საპენსიო თანხას იღებენ რუსეთიდან, ასე რომ, აფხაზები თავიდან ბოლომდე მიბმულნი არიან რუსეთზე. ცუდი იქნება, რომ ამ დერეფნიდან სატრანზიტო შემოსავალი რაც იქნება, აფხაზეთს დარჩეს და მოხმარდეს? მათ რუსული ფულის გარდა დამატებით თავისი შემოსავალიც გაუჩნდებათ; რატომ არ უნდა წავიდნენ ამაზე აფხაზები? თუ ეკონომიკური ურთიერთოებები არ აღდგა და ადამიანებს შორის ყინული არ გალღვა, ისე არაფერი გამოვა და კვლავ იმ წრეზე ვიტრიალებთ, რომელზეც ამდენი წელია ვტრიალებთ. ჩემი თვალთახედვა ასეთია: თუკი აფხაზეთის რკინიგზა არ აღდგება, ჩვენ ხელოვნურად ჩავკეტავთ ადმინისტრაციულ საზღვარს და გავწყვეტთ აფხაზებთან ურთიერთობას. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რომელი უფრო მნიშვნელოვანია – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა თუ წამგებიანი იქნება ჩვენთვის რკინიგზის ეს მონაკვეთი, თუ – მომგებიანი?

**ხ. ჩიგოგიძე**

## ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

**თურმე ბრალია წუთისოფელს რომ ვეცილები,**
**რადგან მასხარის საძაგელი როლი ვერ ვქმენი...**
**მე კი იმ ჯამბაზს სინანულით გზიდან ვეცლები,**
**მაგრამ ციერო ასე მდაბლი რისთვის შემქმენი?**
**ალბათ იმისთვის რომ ვეწამო გამოწრთო სული,**
**ცათა ქვეშეთის ჯურღმულებში დავლიო დღენი,**
**უარვყო ტკბობა მიწიერი ზღვარგადასული**
**და სიამით კი შევითავსო უხამსი ძღვენი...**
**აწ ჩემს ჭადარას ვერ დაფარავს ფერსხმა ნიკალის,**
**ვერც ლეონარდო წარუხოცი ღიმილის მჩენი.**
**მაგრამ მიტაცებს მე ნატურა მეძავი ქალის,**
**მხატვრის წინ რომ დგას როგორც წმინდა და გადამრჩენი.**
**ღმერთო მასხარას შემადარე თუნდაც გამხადე,**
**ნამდვილი სიყვარულის ფარდა ახადე.**

* * *

**იელვა ცაზე...ქუხილის ხმაზე,**
**აქაფებული ტალღები ზღვაზე,**
**ზვირთებს შეეგდო ხომალდი ყალხზე,**
**ნეტავი! იმ დროს ვინ ფიქრობს ხალხზე?**

**ან კაპიტანი? ანდა ბოცმანი?...**
**იქნებ მათ შორის იგი მხცოვანი,**
**რომელსაც მუდამ დააქვს ლოცვანი**
**და გაიძახის – არ ქნა ხოცვანი!**

**ვის ესმის ეს ხმა, ვინ გაიგონა?**
**ასეთი რამე ვინ მოიგონა?**
**იქ, ხომ ბევრია ვაჟი-გოგონა**
**და სადაცაა მოვა გორგონა.**

**...იქაც სუყველას ერთი ფიქრი კლავს,**
**თვითონ გადარჩეს მეორესა ფლავს,**
**არაფრად აგდებს მაშინ თვის საფლავს,**
**რადგან სიცოცხლე მის ფიქრს არ ახლავს.**

**მოღორებაა და სულ ღლაბუცი,**
**გაუთავებლად მიდის ლაქუცი...**
**ყველას ერთი კრავს – შიში ტაბუსი!**
**და ცხოვრებაც რბის ვით ომნიბუსი...**

**დაე, იელვოს იყოს ქუხილი,**
**ქარიშხალი და ოხი-წუხილი!**
**იქნება როსმე გაჩნდეს სურვილი,**
**რომ აღარ იყოს ქვეყნად ურვილი!!!**

**ᲒᲝᲩᲐ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ**

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲝᲗ ᲜᲘᲢᲠᲐᲢᲔᲑᲘᲗ “ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚᲘ” ᲮᲘᲚ-ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ – ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

ზაფხული იდეალური სეზონია ჯანსაღი კვების მოყვარულთათვის. დიასახლისები აქტიურად ამარაგებენ ოჯახებს ნაი-ნაირი ხილ-ბოსტნეულით – ცდილობენ, ბავშვებმა რაც შეიძლება მეტი ცოცხალი პროდუქტი მიიღონ და ორგანიზმი ვიტამინებით გაიძლიერონ. სამწუხაროდ, ყველა ხილი და ბოსტნეული არ არის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო. კარგად ვიცით, რომ არათუ იმპორტირებული, ადგილობრივი პროდუქციაც პესტიციდებითა და ნიტრატებითაა გაჟღენთილი. გასწავლით რამდენიმე ხერხს, თუ როგორ შეამციროთ ხილ-ბოსტნეულში ამ საშიში ნივთიერებების შემცველობა.

**კომბოსტო** – ნიტრატები ყველაზე დიდი რაოდენობით კონცენტრირებულია გარეთა ფურცლებსა და კომბოსტოს მკვრივ გულში, ამიტომ ეს ნაწილები უნდა მოაჭრათ.

**კარტოფილში** ქიმიური ნივთიერებები კანქვეშ და ბოლქვის შუაგულში გროვდება. ამიტომ წამოდუღებისთანავე წყალი გამოუცვალეთ. კერძებში კი უმჯობესია წინასწარ წამოდუღებული კარტოფილის ნაჭრები ჩაყაროთ.

**კიტრი, ბადრიჯანი, ყაბაყი** – კიტრი ღია მწვანე ფერის უნდა იყოს, თუ ძალიან მუქი შეფერილობა აქვს, ეს ნიტრატების მადალ შემცველობაზე მიანიშნებს. ყაბაყსა და ბადრიჯანს კი კანი მოაცილეთ და ამოაჭერით თესლები – ეს მავნე ნივთიერებების ბუდეა.

**მწვანილი, სალათის ფურცლები** – ყველაზე ბევრი ქიმიური ნივთიერება მათ ფოთლებში გროვდება. მწვანილი ყველაზე უხვად ითვისებს ნიტრატებს და ამიტომ გამოყენებამდე ერთი საათის განმავლობაში გამდინარე წყალში უნდა იდოს.

**პომიდორი** – მისი ყიდვისას დააკვირდით კანის სისქეს – რაც უფრო სქელია პომიდვრის კანი, მით მეტ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს. არ შეიძინოთ მონარინჯისფრო ნაყოფი, რაც არ უნდა იაფი ღირდეს ის. გამყიდველს აუცილებლად გააჭრევინეთ პომიდორი და თუ შიგნით მოთეთრო რბილობი და სქელი ძარღვები შენიშნეთ, ეს იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს. თუ მხოლოდ შინ მიტანისას აღმოაჩინეთ ეს, ამ შემთხვევაში პომიდორი ერთი საათით გააჩერეთ ცივ წყალში.

**სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი** – ბოლქვა მცენარეების თავი და დაბოლოება ნიტრატების ნამდვილი ბუდეა. გამოყენების წინ ეს ნაწილები მოაჭერით. სტაფილოს ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე აუცილებლად მოაცილეთ წვეტი, გამწვანებული უბნებიც უნდა მოაჭრათ, იქაც ქიმიკატები **“ბუდობენ”.**

**ყურძენი** – შენახვის ვადის გახანგრძლივებისთვის მას ნივთიერება ფუნგიციდით ამუშავებენ. ეს ნივთიერება რომ მოვაცილოთ, ამისათვის სოდიან წყალში უნდა გავრეცხოთ, შემდეგ კი სუფთა წყალი გადავავლოთ. საერთოდ, ნებისმიერ ხილ-ბოსტნეულს მოუხდება სოდაში გარეცხვა.

**საზამთრო** – პირველ რიგში, უარი თქვით ტრადიციაზე და არასოდეს გააჭრევინოთ საზამთრო გამყიდველს. ეს ბაქტერიების გამრავლების შესანიშნავი წყაროა. თუ ძალიან მსხვილი და ოდნავ მოყვითალო კურკები აქვს, ე. ი. ქიმიურად არის გამდიდრებული. შეგიძლიათ მარტივი ტესტიც ჩაატაროთ – საზამთროს რბილობი ერთი წუთით წყლით სავსე ჭიქაში მოათავსეთ. თუ წყალმა ფერი შეიცვალა, ესე იგი ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს. თუ წყალი მხოლოდ აიმღვრა – **“სუფთაა”.**

**ვაშლი და მსხალი** – თუ ხელში აღებისას გრძნობთ, რომ მეტისმეტად გლუვი და სრიალა კანი აქვს, ეს იგი იერსახის შესანარჩუნებლად დიფენილომით დაამუშავეს. აშშ-სა და ევროკავშირში დიფენილომი ძლიერი კანცეროგენული და ალერგიული შემადგენლობის გამო აკრძალულია. ასეთი ხილი გაუთლელად არ უნდა მიირთვათ.

ეცადეთ, არც თავად მიირთვათ და რაც მთავარია, არ შესთავაზოთ ბავშვებს ხილ-ბოსტნეული, რომელთა ბუნებრივი მწიფობის სეზონი ჯერ არ დამდგარა. ძალიან ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ზამთარში კიტრსა და პომიდორში სამმაგი ფასის გადახდით ბავშვისთვის კარგ საქმეს აკეთებთ. ყველაზე დაბინძურებული ხილ-ბოსტნეული მსოფლიოს ბაზრებზე თურქეთიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან და ეგვიპტიდან ხვდება. მათი მიწა საკმაოდ მწირია და ქიმიური დამუშავების გარეშე მდიდარ მოსავალს არ იძლევა.

# უძველესი რელიგიები და სექტები

დღევანდელმა სოციალურმა სიდუხჭირემ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ჩვენში იეღოველური მიმდინარეობის გავრცელებას. ადამიანები, რომელნიც ნაკლებად იცნობენ ქრისტიანობის ფილოსოფიას იოლად ებმებიან იეღოველთა ბადეში, იეღოველი პროპაგანდისტი იოლად იმორჩილებს მერყევ ქრისტიანს, რომელსაც ჰგონია, რომ ბიბლიისეული ციტატებით ნასაზრდოები ბროშურა შეუძლებელია მავნებელი იყოს. სწორედ ესაა სატყუარა.

სექტის დაარსება უკავშირდება ამერიკის მოქალაქეს, პენსილვანიის შტატში მცხოვრებ ვინმე ჩარლზ რასელს, რომელსაც **"რაღაც მიზეზების გამო"** არ აკმაყოფილებდა ქრისტიანული მოძღვრების არც კათოლიკური და არც პროტესტანტული მიმდინარეობა და განიზრახა ჩამოეყალიბებინა ბიბლიის შემსწავლელთა წრე, სადაც მისი შეხედულებანი იქნებობდა რეალიზებული.

1879 წელს რასელმა თავის ერთ-ერთ თანამზრახველთან ერთად დაწერა წიგნი, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1914 წელს დადგებოდა წარმართთა ჟამი და მთელი ქრისტიანული სამყარო განადგურდებოდა, რის შემდეგადაც ქვეყანას მოევლინებოდა ერი, რომელიც მსოფლიოს სადავეებს ჩაიგებდა ხელში. 1884 წელს რასელმა თავისი წრის ჟურნალს უწოდა **"სიონის საგუშაგო კოშკის საგამომცემლო საზოგადოება"**, ხოლო აქედან წარმოდგა **"საგუშაგო კოშკის საზოგადოება"**.

1886 წელს რასელმა გამოაქვეყნა ბიბლიის საკუთარი კომენტარები და განმარტებები, სადაც განმარტებულია აზრი ქრისტიანობის თითქმის ყველა დოგმატის საწინააღმდეგოდ.

1908 წელს სექტის ცენტრი გადატანილ იქნა ბრუკლინში და იქ დაფუძნდა რასელის მიერ მოხვეჭილი თანხით. საგულისხმოა, რომ რასელის ძირითადი მიზანი დიდი ფულის შოვნა იყო, რასაც მიაღწია კიდეც თავისი რელიგიური მოძღვრების საშუალებით, იმ ადამიანთა ხელშეწყობით, რომელნიც დაინტერესებულნი იყნენ ქრისტიანობის დისკრედიტაციით.

ცოტა ხანში გაიშიფრა რასელის ნამდვილი ზრახვანი და ამერიკულ პრესაში იგი დახასიათებულ იქნა როგორც დამღუპველი მოძღვრების ავტორი, რომელიც არც მეცნიერია და არც თეოლოგი.

რასელის სიკვდილის შემდეგ (1916) მისი გზა გააგრძელა მისივე თანამებრძოლმა რუტერფორდმა. რუტერფორდი ხედავდა, რომ რასელიზმის ავანტიურისტული სულისკვეთება გამოაშკარავებული იყო და, ვითომდა რასელის მოძღვრების საწინააღმდეგოდ, მან შექმნა ახალი მოძღვრება, რომელიც ფაქტობრივად შენიღბული რასელიზმი იყო – ისევ და ისევ ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ. სწორედ რუტერფორდი იყო ის პიროვნება ვისი მეშვეობითაც 1931 წელს ამ ორგანიზაციამ მიიღო **"იეღოვას მოწმეთა"** სახელწოდება.

რუტერფორდის მისწრაფებაც იგივე იყო, რაც, ძირითადად, რასელისა და მისი თანამზრახველების გამდიდრებას ისახავდა მიზნად, ხოლო ქრისტიანობის დამხობის ამ იდეას ხელს უწყობდნენ ადამიანები, რომელთაც თავიანთი რჩეულობა და მსოფლიოზე ამაღლება ღვთისგან დადგენილ მისიად მიჩნდათ.

**"იეღოვას სექტა"** განსაკუთრებით გაძლიერდა ნათან ჭორის პერიოდში (1942 – 1977), როცა მან დააფუძნა **"საგუშაგო კოშკისეული გალაადის სკოლა"**, სადაც ამზადებდნენ სექტის მქადაგებლებს მისივე ხელმძღვანელობით. ინგლისურ ენაზე შესრულდა ბიბლიის **"ახალი მსოფლიო თარგმანი"** (გასაიდუმლოებული მთარგმნელის მიერ) რომელიც უკიდურესადაა შერყვნილი, დეფორმირებული და აღსავსეა სექტანტური სულისკვეთებით.

**"იეღოვას მოწმეები"** ფარავენ თავიანთ ნამდვილ ზრახვებს და თავს წარმოადგენენ, როგორც **"ახალ ჭეშმარიტ ქრისტიანებად"**. მთთვის ასეთი ნიშნით შენიღბვა აუცილებელი იყო, თუ ისინი აშკარად დაუპირისპირდებოდნენ ქრისტიანობას, ეს კი საყოველთაო პროტესტს გამოიწვევდა ქრისტიანული რელიგიის მომხრეთა მხრიდან, ბუნებრივია, ამის შემდეგ მათ ყველა გზა დაეკეტებოდათ თავიანთი მოღვაწეობისათვის.

იეღოველთა სექტის ამჟამინდელი ხელმძღვანელია ა.შ.შ.-ს მოქალაქე, წარმოშობით ებრაელი, მულტიმილიონერი ჯ. პენშელი, სექტის ბირთვი განთავსებულია ნიუ-იორკის ცენტრში – ბრუკლინში და აქედანაა გაბმული ძაფები მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე. ორგანიზაციის მსოფლიო სულიერ-ადმინისტრაციული ცენტრის ხელმძღვანელობა 15 ადამიანით განისაზღვრება, რომელთა მეშვეობითაც ხდება იეღოველთა საქმიანობის ორანიზებული წარმართვა (ამ ადამინთა ვინაობა გასაიდუმლოებულია).

სექტანტები ძირითადად ყურადღებას უთმობენ საპროპაგანდო მასალების ბეჭდვას და მათი საგამომცემლო ცენტრები მთელ მსოფლიოშია მოდებული, რეგულარულად გამომავალი ჟურნალების **"საგუშაგო კოშკი"** და **"გამოიღვიძეთ"**, საერთო ტირაჟი 70-იან წლებში 250 მილიონ ეგზემპლარს აჭარბებდა, ხოლო 2000 წლისთვის ეს რიცხვი უკვე რამდენიმე ათეული მილიონით გაიზარდა.

იეღოველთა სექტა ეყრდონობოდა იერარქიულ მმართველობით სისტემას, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: ხელმძღვანელი კორპორაცია (ბრუკლინში) მათი წამომადგენლები მსხვილ ზონებში, ფილიალები ცალკეულ რეგიონებში, ზედამხედველები – რაიონებში, უხუცესები – საკრებულოებში და რიგითი წევრები. თავიანთი მოღვაწეობისათვის, რაც ძირითადად გამოიხატება ქრისტიანის გადაბირებით, სექტანტებს აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული წესები,

მათ პიროვნების გადმოსაბირებლად შემუშავებული აქვთ კითხვარები, რომლებიც ძირითადად ნასაზრდოვებია ნუგეშისცემის, დახმარებისა და კეთილმყოფელობის სულისკვეთებით, რაც განსაკუთრებით ჭრის სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, მაგრამ ისინი არიან ერთჯერადი დახმარების ოსტატები, მათ არ შეუძლიათ სტაბილური და მყარი სოციალური პირობები შეუქმნან ხალხს, არათუ მატერიალურად დაეხმარნონ. იეღოველები თავის საპროპაგანდო ლიტერატურასაც კი არ გასცემენ უფასოდ. თავდაპირველად ისინი წიგნებს მართლაც უფასოდ არიგებენ – თითქოსდა ქველმოქმედებას ეწევიან, სინამდვილეში კი სექტის ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ მან შეიძინოს ეს ლიტერატურა და შემდეგ უფასოდ გაავრცელოს. იეიღოველებს ასევე აქვთ ე.წ "ნიდა მოხმარების ჟურნალები, სადაც შეტანილია **"სამეუფეო მსახურების"** ანუ გადაბირებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი მომენტი, იქნება ეს ქადაგებისა და გადმობირების სხვადასხვა ფორმა, თუ, ასევე, სამისამართო და საინფორმაციო ცნობები. იეღოველს შეუძლია იცრუოს, მას ეს ცოდვად არ ჩაეთვლება, თუ კი სიცრუე სუბიექტის გადმოსაბირებლადაა ნათქვამი. სექტის საქმიანობის ყველა არსებითი ხასიათის ინფორმაცია მიეწოდება ამერიკის ცენტრალურ ოფისს ბრუკლინში, რომელიც ახდენს გლობალური პროცესების კოორდინაციას.

არსებული ინფორმაციით მათი რიცხვი საქართველოში 20.000-ს აღწევს. მართლმადიდებლობის შეურაცხმყოფელი წიგნები კი ასეულ ათასობით ტირაჟით ვრცელდება. 1995-97 წლებში მარტო რუსთავში შემოტანილია 760 ტონა ამგვარი ლიტერატურა. ევროპის ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ, რომ როგორმე შეასუსტონ იეღოველთა ზემოქმედება მოსახლეობაზე. ხოლო საქართველოში კი ჯერ ამისთვის არაფერი გაკეთებულა.

ამ ცოტა ხნის წინ ქართული საზოგადოება შეძრა 1997 წლის აპრილში, 8 წლის სოფო ჩხიკვაძის და 2000 წლის აპრილში ლია ჯანქანიძის წამებით გარდაცვალებამ, რისი მიზეზიც გახდა სისხლის გადაუსხმელობა, რაც არასდიდებით ისურვეს მათმა მშობლებმა. იეღოველები კოლექტიური თვითმკვლელობის აპოლოგიას ეწევიან, სწირავენ საკუთარ შვილებს მსხვერპლად. კოლექტიური თვითმკვლელობის უმაგალითო საქციელი ჩაიდინეს, როდესაც გორის ციხის ქონგურებიდან გაფრენის სურვილით აღტაცებულნი გადმოეშვნენ და იქ უმოწყალოდ ჩაიხოცნენ. ასევე უაღრესად შემაშფოთებელია ქართული ტრადიციის წეს-ჩვეულებისადმი მტრული დამოკიდებულება. თბილისში, გალიდან იძულებით გადაადგილებულთა ოჯახში, დედა გარდაიცვალა, გაიაღოველებულმა ძმამ ვერ აიტანა დისგან დედის მართლმადიდებლური წესით გაპატიოსნება, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა.

რელიგიური მეკობრეები

*ქართველთა "საქმენი საგმირონი" უცხოეთში*

# ქართველი ემიგრანტი, რომელიც ფულს ვირთხებით შოულობს – იტალიელი მძღოლების ძარცვის უნიკალური მეთოდი

ბევრი ქართველი, ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის სახელისუფლებო ხროვის მძარცველური პოლიტიკის გამო უცხოეთშია გადახვეწილი, რათა საკუთარი თავი და ოჯახის წევრები თუნდაც მინიმალური საარსებო საშუალებებით უზრუნველჰყოს.

სად არ შეხვდები ქართველს – ამერიკაში, ავსტრალიაში თუ აფრიკაში. ბევრი მათგანი კი ევროპაშია წასული და იქ ცდილობს ფულის შოვნას. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ მათი უმეტესობა იქ უკანონო გზით შოულობს ფულს; ძირითადად მაღაზიებიდან ამა თუ იმ ძვირადღირებული საქონლის მოპარვით და ყიდვა-გაყიდვით ირჩენენ თავს. თენგო მაისურაძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც წლებია უკვე გერმანიაში ცხოვრობს:

– როცა წავედი, მაშინვე ვიცოდი, რომ აქ სამსახურის ძებნას არ დავიწყებდი. ჩემი მეგობრები იყვნენ წასულები და იმათ მასწავლეს აქაური ცხოვრების ანა-ბანა.

**– ანუ მოპარვა დაიწყე?**

– კი, დავიწყე, თუმცა როგორც მითხრეს, ვერ ვივარგე, რადგან ბევრჯერ **"დავიწვი"**. სულ პოლიციასთან მქონდა პრობლემები და ჩემს გამო ბიჭებსაც პრობლემებს უქმნიდნენ. ამიტომ გადავწყვიტე ისეთი რაღაც გამეკეთებინა, რაც უფრო გამომივიდოდა. ბავშვობაში სირბილზე დავდიოდი და საკმაოდ სწრაფი ვარ. ერთ-ერთ საიტზე წავიკითხე, რომ იტალიაში აკეთებდნენ შემდეგ რამეს: შუქნიშანთან როცა ჩერდებოდა მანქანა, თუ ფანჯარა იყო ჩამოწეული, შიგ აგდებდნენ ვირთხას. ბუნებრივია, შეშინებული მძღოლი გარბოდა და ცარიელ მანქანას ასუფთავებდნენ. ეს ყველაფერი გავუმხილე ჩემ სამ მეგობარს და დავიწყეთ ასე მოქმედება.

**– პოლიციის არ გეშინოდათ?**

– რა თქმა უნდა, სახიფათო იყო, მაგრამ ქურდობა ამაზე რითია ნაკლები?! ვარჩევდით ისეთ მანქანას, რომლის მძღოლიც ქალი იყო, რადგან ქალებს უფრო ეშინიათ მღრღნელების. მერე ვხსნიდით **"ბარდაჩოკს"** და თუ რამე ედო, ვიღებდით, ასევე ვიღებდით იმასაც, რაც მანქანის სალონში იდო. ორჯერ **"ლეპტოპიც"** კი **"გამოგვყვა"** ხელს. როგორც წესი, ნაღდი ფული იშვიათად ედოთ ხოლმე, მაგრამ ყოფილა შემთხვევა როდესაც 100-200 ევრო ჰქონიათ...

**– მერე პოლიცია რას აკეთებდა ამ დროს?**

– ჯერ ვზვერავდით – ახლო-მახლო თუ იდგა პოლიციელი და მერე ვაკეთებდით საქმეს. ერთხელ მე და ჩემი მეგობარი დაგვიჭირეს, მაგრამ ვერაფერი დაგვიმტკიცეს და იძულებული გახდნენ გამოვეშვით. საერთოდ, სათანადო მტკიცებულების არქონის გამო, ერიდებიან საქმის გართულებას და ალბათ ამიტომ გამოგვიშვეს. ერთხელ, ერთ ქალბატონს ჩავუგდეთ ვირთხა და, არ ვიცი, გიჟი იყო თუ ვინ იყო, მაგრამ დაიჭირა ეს ვირთხა და გადმოაგდო მანქანიდან, მაგრამ ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როგორც წესი, მიზანს ვაღწევდით ხოლმე.

**– ახლა რას საქმიანობ?**

– რომ გითხართ ვმუშაობ-მეთქი, დამიჯერებთ? ისევ ამ საქმით ვცდილობ რაღაცების კეთებას. ნელ-ნელა ფულსაც ვაგროვებ. 4 ვირთხა მყავს სახლში და როგორც შვილებს ისე ვუვლი. აბა რა ვქნა, ეგენი მაჭმევენ პურს. მინდა რამე სამსახურივით ვიშოვო, ერთი გერმანელი მპირდება და ვნახოთ, თუ მართლა დამაწყებინა, მერე შევეშვები ვირთხებით მაიმუნობას. კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და სანამ წამოვიდოდი ერთ-ერთ კომპანიაში IT დეპარტამენტში ვმუშაობდი, მაგრამ იმდენად დაბალ ხელფასს მიხდიდნენ, გაჩერებაც არ ღირდა. მოკლედ, თუ დავიწყე მუშაობა ხომ კარგი, თუ არადა, ვიდრე დეპორტაციით გამომაბუნძულებენ, მანამდე ისევ ვირთხებით ვიშოვი ფულს...

**– არ განიცდი შენს ასეთ საქმიანობას?**

– მე ვირთხებით ვშოულობ და მაგრად მიტყდება, მაგრამ ვინც ვირთხობით შოულობს, იმას ჰკითხეთ, რას განიცდიან. თან ყველა ეგეთი მთავრობაში გყავთ და მიგნება სულ არ გაგიჭირდებათ.

**ლადო გოგოლაძე,**
**ინტერნეტსაიტი ამბები.გე**

# “რა ვუპასუხო ხალხს, ბატონო ბიძინა?” – საქინფორმის მთავარი რედაქტორის დახურული წერილი მილიარდერ ივანიშვილს

ბატონო ბიძინა!

პოლიტიკაში თქვენი მოსვლის პირველივე დღეებიდან საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა და მისმა მთავარმა რედაქტორმა არნო ხიდირბეგიშვილმა თქვენ და თქვენს ფავორიტებს უპრეცედენტო მხარდაჭერა აღმოგიჩინეს, თანაც – სრულიად უანგაროდ, თქვენ მიერ უხვად დაფინანსებული მედიასაშუალებების და პიარ-მრჩევლებისგან განსხვავებით. ამიტომ დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ქართველ ხალხში გაჩენილ ნიჰილიზმსა და სკეპტიციზმზე პასუხისმგებლობის წილი მეც მაკისრია.

ბატონო ბიძინა!

ამ დახურულ წერილს სრულიად საიდუმლოდ გწერთ, სანთლის შუქზე (არა მარტო კონსპირაციის მიზნით, არამედ იმიტომ, რომ შუქი ისევ გამორთეს), გწერთ, იმიტომ რომ ჩავარდნის ზღვარზე აღმოვჩნდი...

რა ვუპასუხო ხალხს, როდესაც მეკითხებიან: “სააკაშვილის დროს, რომელსაც თქვენ, ბატონო არნო, მთელი 9 წელი ყოველდღიურად ამხელდით, რატომ დაივიწყეს თბილისელებმა – რას ნიშნავს ელექტროენერგიის და წყლის შეწყვეტა, თქვენ მიერ ნაქები ღარიბაშვილის მთავრობის ხელში კი ელექტროენერგიას და წყალს ყოველდღე თიშავენ?!”

ბატონო ბიძინა, გინდათ, ყველაფერს **“ოკუპანტ რუსეთს”** დავაბრალებ? ის მეურნეობები, რომლებიც დედაქალაქს ელექტროენერგიით და წყლით უზრუნველყოფენ, ხომ რუსულ კომპანიებს ეკუთვნით, ჰოდა, მეც ვიტყვი, რომ რუსეთი საგანგებოდ ეწევა საბოტაჟს, რათა განრისხებულმა ხალხმა ღარიბაშვილის მთავრობა დაამხოს და რუსეთმა საქართველო დაიპყროს, როგორც ყირიმი!

შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ეს – **“ნაციონალების”** დივერსიებია, მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილი შავი ნიღბით და შავ კოლგოტებში, ღამის საფარქვეშ იპარება ქვესადგურებში და საკანალიზაციო ლუკებში, სადაც წითელი ნაჯახით ამტვრევს ფიდერებს და მილებს!

ბატონო ბიძინა!

რა ვუპასუხო ხალხს, როცა მეკითხებიან: **“სააკაშვილის დროს, რომელსაც თქვენ, ბატონო არნო, მთელი 9 წელი ყოველდღიურად ამხელდით, რატომ შენდებოდა სპორტული მოედნები, აუზები სკოლებში, შადრევნები მოედნებზე, ხოლო თქვენგან ნაქებმა ივანიშვილმა თბილისში ორიდან ორი უძველესი აუზი გააუქმა? უბრალო თბილისელებისთვის ხელმისაწვდომი ორთაჭალის აუზი და “ლაგუნა ვერე” – დედაქალაქის ორად ორი ღია აუზია, სადაც ასიათასობით ბავშვმა ცურვა ისწავლა, ათასობით კი სკოლიოზისგან განიკურნა, სადაც ახალგაზრდობა სპორტს მისდევდა, ალკოჰოლის, თამბაქოს მოწევის და ნარკოტიკების ნაცვლად, სადაც ქალაქელები და მათი სტუმრები ზაფხულის სიცხეში ისვენებდნენ და სადაც ვარჯიშობდნენ საქართველოს ნაკრებები ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში?!”.** ხალხი ლაპარაკობს, რომ თავდაპირველად თქვენ ორთაჭალის აუზი დაანგრიეთ, რათა ნინო ანანიაშვილისთვის საბალეტო სტუდია, ან თქვენი ტელეკომპანია “TV 9”-სთვის სტუდია აგეშენებინათ, მაგრამ სანაცვლოდ აუზი სხვა ადგილას, როგორც დაჰპირდით, არ ააშენეთ. გასული წლის მიწურულს კი მოულოდნელად **“ლაგუნა ვერეც”** დახურეთ...

ბატონო ბიძინა, გინდათ, ვიტყვი, რომ თქვენ – არაფერ შუაში ხართ, რომ ეს სულ წყეული კომუნისტების ბრალია, რომლებმაც ეს საუცხოო აუზები ააშენეს და საგანგებოდ დატოვეს მათ ფსკერზე საიდუმლო არხი მოსკვა-რეკამდე, რომ **“რუსი ოკუპანტების”** წყალქვეშა ნავებმა ზედ თბილისის ცენტრში ამოყვინთონ?

შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ეს – **“ნაციონალების”** დივერსიებია, მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილი მყვინთავის შავ კოსტიუმში აუზის ფსკერზე დაიმალა, რომ მოცურავეები დაახრჩოს, რათა განრისხებულმა ხალხმა ღარიბაშვილის მთავრობა დაამხოს და საქართველოში სააკაშვილი დაბრუნდეს!

ბატონო ბიძინა!

რა ვუპასუხო ხალხს, როცა მეკითხებიან: **“ბატონო არნო, თქვენ 9 წლის განმავლობაში ყოველდღე ამხელდით “ნაცმოძრაობას”, მაგრამ გვაძლევთ თუ არა გარანტიას, რომ თქვენ მიერ ნაქები “ქართული ოცნების” მერი და გამგებლები უკეთესები იქნებიან?”.**

ბატონო ბიძინა, აი აქ კი უკვე აღარ ვიცი, რა ვუპასუხო ხალხს, იმიტომ რომ ენა არ მომიბრუნდება იმის სათქმელად, რომ გამგებლები მელია, დაღელაშვილი და სხვები ადამიანების მიმართ უყურადღებობას იჩენდნენ. კრემლთან კავშირსაც არავინ დაიჯერებს, თან უგულავას დანაშაულიც, როგორც ხედავთ, თავდაპირველად სასამართლომ არ დაამტკიცა (თუმცა თქვენ ბოლო წუთამდე გქონდათ კუბლაშვილის იმედი...).

გინდათ, ვიტყვი, რომ ეს ისევ **“ნაციონალების”** პროვოკაცია იყო – რომ ისინი საგანგებოდ კარგად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს **“ქართული ოცნების”** დისკრედიტაციის მიზნით, რათა განრისხებულმა ხალხმა ღარიბაშვილის მთავრობა დაამხოს და საქართველოს პრემიერი... ხათუნა გოგორიშვილი გახდეს?!

**2014 წლის 2 ივნისი**

**საქართველო, თბილისი**

## ეროვნული მანკიერებები, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებაში არ წერია – ანუ, რა არის ევროპელობა

გილოცავთ, დღეს დიდი ზეიმია! რამდენიმე დღის წინ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. მაინც რა არის ეს ევროკავშირი, ასე რომ მივილტვით და ვცდილობთ მასთან მჭიდროდ დაახლოვებას? მე, შენ და უბრალო საშუალო სტატისტიკურ ქართველებს რა სარგებელს მოგვიტანს ეს ხელმოწერა? დაპირების მიხედვით, ხელმისაწვდომი გახდება ევროპული განათლება, გაუმჯობესდება ჯანდაცვა, გამყარდება კანონის უზენაესობა, სასამართლო უფრო უკეთესად შეძლებს ფუნქციონირებას, დავუახლოვდებით უვიზო რეჟიმის შემოღებას, უმცირესობათა პატივისცემას უფრო მეტ ძალისხმევას მოვახმართ, და ა.შ. თუ ამ ჩამონათვალს დავაკვირდებით, მათი განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში კეთილდღეობამ უნდა დაისადგუროს და ერმა თანდათან ამოისუნთქოს.

და მაინც, რატომ უნდა გვიხაროდეს ევროპელობა? ან რას ნიშნავს ჩვენთვის უკვე ისტორიულ ფრაზად ქცეული სიტყვები – **“მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი”?** პირადად ჩემთვის ევროპელობა ინდივიდის უნიკალურობას ნიშნავს, თითოეული ადამიანის აზრის, გამოხატვის, შემოქმედების თავისუფლებას. იმას, რომ ადამიანს გააზრებული აქვს ეს და იმასაც, რომ სხვისი თავისუფლების გააზრება და მასთან შეგუება შეუძლია. შეიძლება ზოგი შემედავოს, მაგრამ მგონია, რომ პოლიტიკურ ჭრილში ევროპელობის გაგება გაცილებით მარტივია.

ევროკავშირი გთავაზობს წინასწარ გაწერილ სტანდარტებს, და გეუბნება: გინდა იყო ჩემი ოჯახის საპატიო წევრი? მაშინ აქაური ქუდი უნდა დაიხურო და საერთო თამაშის წესებით იმოქმედო. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა საქმე ინდივიდუალიზმს, ადამიანების ქცევას, მენტალიტეტს, ჩვევებსა და აზროვნებას ეხება?

ქართველებს ხასიათით, გარეგნობითა და ქცევებით ხშირად იტალიელებს გვამსგავსებენ ხოლმე. თვითონ იტალიელებისგანაც გამიგია, ყველაზე კარგად თქვენი გვესმის, ჩვენსავით ხმაურიანები, ტემპერამენტიანები, მუსიკალურები და ემოციურები და წესების დარღვევის მოყვარულები ხართო. ძნელია არ დაეთანხმო, განსაკუთრებით ზოგიერთი ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ:

იტალიელების მსგავსად, ჩვენც ძლივს შევეჩვიეთ ზებრა გადასასვლელს. ზებრაზე გადასვლა ქვეითისა და მძღოლის პაექრობას ჰგავს. თუ გაგიმართლა და მყარი ნერვების მქონე სანდომიანი მძღოლი შეგხვდა, დაგითმობს გზას, თუ არადა, ელოდე... ან ნუ დაელოდები და გარისკე ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ. სხვა თუ რისკავს, შენ რით ხარ მასზე ნაკლები?!

აბა თუ გამოიცნობთ, რიგში დგომის ქართულ წესებს? უფრო სწორად ერთ წესს, ამ შემთხვევაში, ბევრი არც არაფერია გასათვალისწინებელი. რიგში ყოველთვის ყველა პირველია. არ აქვს მნიშვნელობა, დროსა და ადგილს – აფთიაქში, სალაროსთან, ექიმთან, ავტობუსის გაჩერებაზე, ტაძარშიც კი... ზუსტად ამ პირველობის გამო დაიმხო ჩემ თვალწინ წირვის დროს ხატთან დაკიდებული კანდელი სამებაში მრევლმა. რატომ? ჯიქურ მიიწევდა ხატთან სამთხვევად, ვაითუ ვინმეს დაესწრო დაწინაურება.

ყველანი ერთხმად ვთანხმდებით, რომ ქალაქის ქუჩები ნაგავს მიაქვს, მაგრამ ვინ ანაგვიანებს? – რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჩვენ. მგონი ეს ერთადერთი პრობლემაა, რომელსაც მთავრობის უუნარობას არ ვაბრალებთ... არა, გამახსენდა – ხელისუფლებაში **“ქართული ოცნების”** მოსვლის შემდეგ ზოგისგან გამიგონია, ქუჩები იმიტომ არის უფრო მეტად დანაგვიანებული, რომ დასუფთავების სამსახურს აღარ გააქვს ნაგავი ისე ხშირად, როგორც ეს უწინ ხდებოდაო.

რა ხდება ტრანსპორტში? ზოგადად, ეს თემა ცალკე ჩანაწერს იმსახურებს, მაგრამ ლაკონურად მაინც ვეცდები შეგახსენოთ. თუ ყვითელ მიკროავტობუსში დასაჯდომი ადგილი აღარ არის, ავდივართ და ვდგებით მძღოლთან მაქსიმალურად ახლოს. არამც და არამც არ გადავდივართ ერთი მეტრით უკან. რატომ? იმიტომ, რომ აქაც ჩამსვლელების რიგში პირველები ვიყოთ. მერე რა, რომ ამომსვლელებს გზას ვუკეტავთ? მთავარია, რომ ჩვენ წინ ვდგავართ. სხვებს კი, თუნდაც თავში ქვა უხლიათ...

სულ მაინტერესებს, მაგრამ ამ რიტორიკულ კითხვას პასუხი ვერ გავეცი – რატომ ვანადგურებთ ტრანსპორტში სკამის საზურგეებს? ან რატომ ჰგავს 1 წლის ტრანსპორტში სკამები 100 წლის გაურეცხავს? ესეც მთავრობის ბრალია? იმაზე აღარაფერს ვამბობ, ცხელ სეზონზე ტრანსპორტში სურნელების ბუკეტი რომ იფრქვევა ხოლმე და თვით პატრიარქმა რომ მოუწოდა მრევლს ერთ-ერთი ქადაგების დროს, იბანავეთო...

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ ჩანაწერს ცხოვრებაზე დაბოღმილი, არარეალიზებული ქარაფშუტა ადამიანი წერს, რომელიც ირგვლივ კარგს ვერაფერს ხედავს და მისი ერთადერთი მიზანი სხვების კრიტიკაა. მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ამ ჩანაწერით მინდოდა მეთქვა, მხოლოდ ევროკავშირი და ევროპელობა ვერ გამოგვასწორებს. ცვლილებები ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავის გამოსწორებით უნდა დავიწყოთ, რომ უფრო ღირსეული ევროპელები გავხდეთ, ვიდრე ახლა ვართ.

**ს. შიხაშვილი**

**P.S. ბევრად უფრო რთულად გვექნება საქმე მაშინ, როცა ევროსტანდარტების “შესაბამისად” გარკვეული არასამთავრობოები თბილისში გეიაღლუმის ჩატარებას მოითხოვენ და საქართველოს დედაქალაქს უამრავი პედერასტი და ლესბოსელი მოადგება! ამასწინანდელ გეიაღლუმში, რომელიც ნიუ-იორკში ჩატარდა, ერთ მილიონამდე ჰომოსექსუალს მიუღია მონაწილეობა. მაინც, სად გინდა ერთ ციცქნა თბილისში დაატიო ამდენი გადაგვარებული?**

# “ფულის ახევის” ფაქტები თბილისის უბნებში – რას ყვება ყოფილი პატიმარი, რომელიც ფულს “ძველბიჭობით” შოულობს

საქართველოში კრიმინოგენული ვითარება რომ გაუარესებულია, ამაზე უკვე ბევრი დაწერილა, თუმცა **შსს**-ს ოფიციალური მონაცემები საპირისპიროს ამტკიცებს.

რამდენიმე რესპოდენტი ისეთი შემთხვევების შესახებაც ყვება, როდესაც ჯიბის ქურდების მსხვერპლნი გახდნენ, თუმცა პატრულმა ნივთი დაკარგულად გააფორმა და არა მოპარულად. რესპოდენტები ეჭვობენ, რომ პატრულის მხრიდან სწორედ ასეთი დამოკიდებულება იძლევა ცთომილებას **შსს**-ს ოფიციალურ სტატისტიკაში, რომელიც რეალობისგან შორს არის.

ამ სტატიაში გთავაზობთ ინტერვიუს 23 წლის ახალგაზრდასთან, რომელიც გვიყვება, თუ როგორ ცდილობდა საკუთარი კორპუსის ეზოში უცხო მამაკაცი მისთვის **“ფულის ახევას”**. იმას, რაც გოგამ მოყვა, უცხო ხილს ვერ დავარქმევთ, მაგრამ მსგავსი ამბები იმდენად დიდი ხნის წინ ხდებოდა, რომ უკვე წარსული გვეგონა.

**გოგა (გვარს რესპოდენტის თხოვნით არ ვასახელებთ) 23 წლის:**

– ქუჩაში დგომა დიდად არ მიყვარს, თუმცა არც ქუჩაა ჩემთვის უცხო. მაგისტრატურისათვის ვემზადები და ამ ბოლო დროს იშვიათად გამოვდივარ გარეთ. სიმართლე გითხრათ, იმდენი უცხო ადამიანია უკვე, რომ თავი სხვა უბანში მგონია. მოკლედ, 2 დღის წინ გვიან მომიწია დაბრუნება და კორპუსის ეზოში შემოსულს ვიღაც ტიპი მეძახის, მივედი და მეუბნება: ჩემი ძმა, კაი ბიჭები ვართ, ფული შემოგვაკლდა და 4-5 ლარით ხომ ვერ დაგვეხმარებიო. ავუხსენი, რომ არ მქონდა და აბა, ჯიბე მაჩვენეო. ბუნებრივია, ჯიბე არ ვაჩვენე და ამაზე ჩხუბი დამიწყო. არა ვარ **“ჩმორი”** და პასუხი გავეცი.

**– ჩხუბზე პატრული არ მოვიდა?**

– არა, პატრულის მოსვლამდე ხალხი მოგროვდა. მეზობლებმა მიცნეს და გაგვაშველეს. მერე დავილაპარაკეთ და თუ ამ უბნელი იყავი, ვერ მითხარიო? აქეთ მომდო შარი.

**– უბნელობა რა შუაშია?**

– ვითომ, მხოლოდ სხვა უბნელებს **“ვახევთ”** ფულს და უნდა გეთქვაო. იმის მერე სულ იქ სხედან, რამდენჯერმე დავინახე პატარა ბიჭებს იბარებენ ხოლმე. სკოლის მოსწავლეებს. დარწმუნებული ვარ, ფულს ართმევენ, არადა მშობლებს ჰგონიათ სკოლაში ატანენ ბავშვს საჭმლის ფულს. ხალხი წვალობს, რომ შვილებს 2 კაპიკი მისცეს და ეს პარაზიტები ართმევენ. ადრე ასე მართლა არ იყო. არ ვიცი, მომავალშიც რა იქნება, მაგრამ ახლა რაც ხდება, სრული მარაზმია. ამბობენ, ვითომ არჩევნების მერე ყველაფერი დალაგდებაო, თუმცა მეეჭვება. ამბობენ, შინაგან საქმეთა მინისტრი, არჩევნებზე რომ მივიდა, აღმოაჩინა პირადობის მოწმობა დარჩაო და ეს ამხელა უწყებას მოუვლის? მე, ასე თუ ისე, დავიცავ თავს, მაგრამ ბევრია, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა და რა ქნას?

**– პატრულს დაურეკოს...**

– დაურეკა ერთმა ჩვენმა მეზობელმა და მისი შვილს ისე სცემეს, საწყალი ბიჭს ტვინის შერყევა ჰქონდა, თან გააფრთხილეს, დედაშენს უთხარი, რეკვებს მოეშვასო. შიში აღარ აქვთ და დღეს თუ 5 ლარს ითხოვენ, ხვალ 50 ლარს მოითხოვენ.

ჩვენ გადავწყვიტეთ ისეთი ადამიანი მოგვეძებნა, რომელიც ფულს სწორედ ასეთი შემოსავლით შოულობს. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დიდხანს ძებნა არ დაგვჭირვებია. კახას ინტერვიუზე დათანამხება იოლი არ იყო, თუმცა ბოლოს მაინც დაგვყაბულდა:

– რა ვქნა ძმაო, 3 თვეა **“სროკიდან”** გამოვედი. არავის ვჭირდები. ერთადერთი მანქანის მართვა ვიცი, დისტრიბუციაში არავინ მიღებს, ნაციხარი ხარო და მშიერი მოვკვდე?!

**– ანუ, ამ გზით აპირებ გააგრძელო ფულის შოვნა?!**

– ვაპირებ რა, სანამ გავქავჩავ – კი. სამუდამო არაფერია და ალბათ ბოლოს ან მომკლავს ვიღაც, ან დამიჭერენ. ციხეში ის მაინც ვიცი, საჭმელი მექნება და აქ რა მაქვს?! საწყალი დედაჩემის პენსია როდემდე უნდა გვეყოს?! იმაზე არც ვფიქრობ, რომ ოჯახი შევქმნა. რომელი თავმოყვარე ოჯახი გამომატანს შვილს ცოლად?! ან, რომც მოვიყვანო, მერე რჩენა არ უნდა?!

**– სხვა სამსახურის ძებნა არ გიცდია? მაგალითად, მშენებლობაზე ან სადმე – მუშად?**

– მიცდია, როგორ არა, მაგრამ რომ გაიგებენ ციხეში ვარ ნაჯდომი, ყველა უარს ამბობს. ნაციხარის იარლიყი მაქვს მოკერებული და თუ ვინმე ნაცნობმა არ დამაწყებინა მუშაობა, ალბათ ვერც დავიწყებ. ჰოდა, მშიერი რომ არ მოვკვდე, არიფებს ვიჭერ და ვართმევ ფულებს.

**– თუ არ მოგცეს?**

– გააჩნია, თუ შევატყვე რომ აქვს და არ მაძლევს, სხვანაირად დაველაპარაკები. თუ არა აქვს, ხომ არ მოვკლავ? არიან ტიპები, რომლებსაც 2-3 ათასი აქვთ და უნდათ უბანში ნორმალური **“პალაჟენია”** ქონდეთ, ამიტომ 10-15 ლარით გვცემენ ხოლმე პატივს, სამაგიეროდ, იციან, რომ უბატონოდ ბუზს ვერავინ აუფრენს. ასეა ძმაო, ხელი ხელს ბანსო, ხომ გაგიგია?

**– არავის ჰქონია წინააღმდეგობის გაწევის სურვილი?**

– როგორ არა და მაგრადაც გვიჩხუბია, თუმცა სიტყვა-პასუხი არ გვეშლება და, როგორც წესი, ვმართლდებით ხოლმე. როცა ასეთი საქმით ჭამ პურს, იცი ვის რა უთხრა და ვის – არაფერი. ცოლქმარი რომ მოდის და კაცს ცოლის ჩანთა მოაქვს და ცოლი ხელცარიელი მოდის, მიხვდები, რომ ეს კაცი ხუთს კი არა, ათ ლარს ისე მოგცემს, როგორც არაფერი. მთელი დღე ქუჩაში ვარ და მეტი საფიქრალი კი არ მაქვს?

**– სამსახური რომ გქონდეს, შეეშვებოდი ამას?**

– არ ვიცი, ალბათ კი, მაგრამ იოლი ფულის გემო ვინც იცის, ძალიან რთულია, რომ დაივიწყო.

**ლ. გოგოლაძე**

# ხელები შორს თავისუფალი პრესისაგან!

აღშფოთებით შევიტყვეთ, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმის მიერ ნაშობმა „ბიზნესმენმა“, ვინმე მამუკა ხაზარაძემ, არც მეტი არც ნაკლები, ქართული თავისუფალი პრესის ერთადერთ ფლაგმანის, გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** წინააღმდეგ, ღღევანდელ მაფიოზურ-ოლიგარქიული გაბატონებული კლანის დაკვეთით, სარჩელი შეიტანა. იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალება, ანუ არ არსებობს თავისუფალი პრესა, არაფერს ვამბობთ სამარცხვინო ელექტრონულ მედიაზე, და როდესაც ჩვენს დაბეჩავებულსა და დამცირებულ ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთებისა და მართალი და პატიოსანი სიტყვისათვის სრულიად დაიხშო კარი და ე.წ. მასმედია ფაქტობრივად მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში არსებულ რეჟიმებს ემსახურება, ასეთ სიტუაციაში, სულ რამოდენიმე გაზეთია დარჩენილი, რომელიც არ ზღუდავს ეროვნული და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პრობლემატიკის გაშუქებას საკუთარი პრესის ფურცლებზე, რომელთა შორის ძირითადია გაზეთი **„ასავალ-დასავალი“**. უფრო მეტიც, ეს გაზეთი გამოირჩევა საინტერესო და მრავალფეროვანი პუბლიკაციებით და არაორდინარულია ქართულ მედიასივრცეში, იგი არ ჯდება შაბლონურ გაბატონებულ მაფიოზურ ჩარჩოებში.

ჩვენს კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს არის შეგნებული ბრძოლა გაზეთის წინააღმდეგ და ეს არაერთხელ გამოუცხადებია სააკაშვილის მამათმავლურ-სადისტური რეჟიმის წარმომადგენლებს და წითელ ინტელიგენციას, და ე.წ ლიბერალ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენს დამცრობილ სამშობლოში არ არსებობს სამართლიანი მართლმსაჯულება და არც სასამართლო ხელისუფლება; როდესაც ქვეყნის დამაქცევრები, დაწყებული შევარდნაძის მაფიოზური კლანით, და დამთავრებული სააკაშვილის სადისტური რეჟიმით, რომლებიც არათუ წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე, არამედ პირიქით, სწორედ ისინი გვევლინებიან ე.წ. სასამართლო ხელისუფლების შემქმნელებად, რომელთაც ყველა ბერკეტი შექმნეს ქვეყანაში სამართლიანობის აღმოსაფხვრელად. ცინიზმია ის, რომ საქართველოში გაბატონებული მაფიური კლანის ანუ **„ბიზნესმენთა“** კასტის ერთერთი მნიშვნელოვანი **„კოლორიტული“** სუბიექტის გალაშქრება თავისუფალი პრესის წინააღმდეგ, ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს სამართლებრივ-მორალური ზნეობრივი საფუძველი და რომ ეს ეროვნული სულის კრიზისია, და რომ ეს ყველაფერი მართალი სიტყვის საბოლოოდ აღმოფხვრის საწინდარია.

ჩვენ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს მიგვაჩნია, რომ 1989 წლის 18 თებერვალს, ე.წ. „ГПИ“-ს წინ, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით გამართული საპროტესტო აქცია, რომელიც სასტიკად იქნა დარბეული მაშინდელი **სუპ**–ის, მილიციის და „ГПИ“-ში მოკალათებული ახალგაზრდა კომკავშირლების მიერ, ფაქტიურად იყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარებული მიკრო – 9 აპრილის წინარე, მოსამზადებელი, დამრბევი ოპერაცია, რომელიც საუბედუროდ 9 აპრილის გაუგონარი ტრაგედიით დამთავრდა.

უნდა ასევე აღინიშნოს, რომ მაშინდელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტაციის წარმომადგენლებმა კარგად უწყიან, თუ ვინ მონაწილეობდა ამ მხეცურ დარბევაში და არსებობს ვიდეო-ფოტო მასალაც, რომელიც გამოამზეურებს და ამხელს ხაზარაძეებისა და სხვა კომკავშირლების ბოროტ მოქმედებას.

აქვე დავძენთ, რომ 1991-92-93 წწ-ში, ერის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის – სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოს რესპუბლიკა გამოსულია სამართლებრივი სივრციდან და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ამ საზარელი დანაშაულის ორგანიზატორები, პუტჩის ძირითადი შემსრულებლები არ წარმდგარან სამართლიანი დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. ჩვენს სამშობლოში სახეზეა ოცდაოთხწლიანი სამართლებრივი ვანდალიზმი და ეს გაგრძელდება იქამდე, ვიდრე საქართველოში არ აღსდგება კონსტიტუციური სამართლიანი, კანონიერი ხელისუფლება და ქვეყანაში სამართალი არ იზეიმებს. აი, ასეთ მძიმე ფონზე, როდესაც ბოროტების ზეობაა ჩვენს ქვეყანაში, მიმდინარეობს გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** წინააღმდეგ „სამართლებრივი“ დევნა.

საგანგებოდ ავღნიშნავთ **„ასავალ-დასავალის“** აქტუალობას ჩვენი ტრადიციებისა და ზნეობრიობის სფეროში. მიუხედავად შავ-ბნელი ძალების შეტევისა ჩვენი ტრადიციებისა და ქრისტიანული ღირებულებების წინააღმდეგ, თამამად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გაზეთი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამხელს ამ ძალების შეტევას და ილაშქრებს სოდომ-გომორული ცოდვებისა და მათი შემსრულებლების წინააღმდეგ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ანტიქრისტიანული ძალები ერთობლივად ებრძვიან სიმართლის გაჟღერებას **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებზე და ეს ფაქტი ჩვენს კომიტეტს, ქართველი ერის წინააღმდეგ გაჩაღებულ გეგმაზომიერ ბრძოლის ფორმად მიაჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებს აღნიშნული გაზეთის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის ფაქტის გამო და სრულ სოლიდარობას უცხადებს მას. ამასთანავე, ქართველ ერთან ერთად მოითხოვს აღსდგეს კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობა და სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ პუჩისტური რეჟიმის მსახურნი – მ. სააკაშვილი და მისი სადისტური რეჟიმის ყველა წარმომადგენელი და ყველა ის მაფიოზურ-**„ბიზნესმენური“** კლანები, რომელთაც გაძარცვეს და დღესაც ძარცვავენ საქართველოს მოსახლეობას, მის ეკონომიკას და ერის ხელშეუხებელ, ფიზიკურ და სულიერ საგანძურს.

ბატონებო!

მოგიწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, ხმა აღიმაღლოს არნახული უსამართლობის წინააღმდეგ, რათა დავიცვათ თითოეული ქრთველი კაცის ღირსება და, ამ შემთხვევაში, გაზეთი **„ასავალ-დასავალი“,** თავისი მამხილებელი პუბლიკაციებით და მთლიანად მისი რეპუტაცია.

***P.S.*** **მივმართავთ საქართველოს მედიის წარმომადგენლებს, რათა გაითვალისწინონ ამ გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებული აღნიშნული არასამართლებრივი ქმედებების შედეგები, წინააღმდეგ შემთხვევაში დომინოს პრინციპის თანახმად, უკლებლივ ყველა სიმართლის მოყვარული გაზეთი, იგივე ბედს გაიზიარებს.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო:**

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი), კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ბესო (ბესარიონ) მიქავა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;**

**მღვდელი – მამა ილარიონი (ჯანელიძე);**

**ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;**

**გოჩა ხარებავა, ჟურნალისტი;**

**ზურაბ ქობალია, ჟურნალისტი;**

**გრიგოლ ბოგვერაძე, მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი;**

***თბილისი, 5 ივლისი, 2014, სიმართლისათვის შეწირული ჟურნალისტის ნაზი შამანაურის დაბადების დღე***

# ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ: ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 2014 წლის 7 ივლისს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ედუარდ შევარდნაძე დაიბადა 1928 წლის 25 იანვარს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში, პედაგოგის ოჯახში. ჰყავდა და და სამი ძმა. მისი მამა დააპატიმრეს რეპრესიების დროს 1937 წელს, მაგრამ გათავისუფლდა მისი მოსწავლის დახმარებით, რომელიც მაშინ შინსახკომთან თანამშრომლობდა.

შევარდნაძემ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ტექნიკუმი, შემდეგ სწავლობდა თბილისის პარტიულ სკოლაში, ხოლო 1959 წელს დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, დაუსწრებლად.

1946 წელს შევიდა კომკავშირში, 1948 წელს, 20 წლის ასაკში კი კომპარტიაში. 1957-1961 წლებში იყო საქართველოს სსრ-ის კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი. 1961-1964 წლებში – კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივანი. 1958 წლიდან იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

1964-1965 წლებში იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე. 1965-1972 წლებში იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დაიწყო კამპანია ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის წინააღმდეგ. კამპანია კარგად იყო რეკლამირებული, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

1972 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად და ამ პოსტზე მუშაობდა 1985 წლამდე. მან შეცვალა კორუფციაში მხილებული ვასილ მჟავანაძე. პარტიაში მუშაობისას დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით.

1976 წლიდან შევარდნაძე კომპარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო. 1985 წელს საბჭოთა **„გარდაქმნის“** წამომწყების, მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით შევარდნაძე მიიწვიეს მოსკოვში და მოულოდნელად დანიშნეს სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად. იმავდროულად აირჩიეს საკავშირო კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. ის მონაწილეობდა გერმანიის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებში. 1990 წელს ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, ჯეიმზ ბეიკერთან ერთად ხელი მოაწერა აშშ-სათვის ბერინგის ზღვის აკვატორიის გადაცემას შევარდნაძე-ბეიკერის გამყოფი ხაზის მიხედვით.

1990 წელს გადადგა, **„მოსალოდნელი დიქტატურისადმი“** პროტესტის ნიშნად, იმავე წელს დატოვა პარტია. საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე თვით ადრე, 1991 წელს, გორბაჩოვის მიწვევით კვლავ დაუბრუნდა მინისტრის პოსტს. იმავე წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გაფორმდა ბელოვეჟის შეთანხმებაში, ხოლო მისი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი გაუქმდა.

1992 წელს საქართველოს კანონიერად არჩეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პუტჩის შედეგად თანამდებობიდან ჩამოაგდო შევარდნაძის მიერ დაფინანსებულმა ეროვნულმა გვარდიამ. პუტჩისტებმა შევარდნაძე მოიწვიეს მათ მიერ შექმნილი ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს – ხელმძღვანელად. სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პროცესებში **“მხედრიონის”** ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა. ედუარდ შევარდნაძემ თანამდებობა 1992 წლის 7 მარტს დაიკავა. მოგვიანებით მან ჩვეული ფარისევლობით განაცხადა: **”მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი უფლებამოსილი, დამეკავებინა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი, მაგრამ ვიყავი დარწმუნებული, რომ მხოლოდ მე შემეძლო საქართველოს ამოთრევა ქაოსისა და კრიზისიდან და გაძღოლა დემოკრატიისკენ...”**

1992 წელს საპარლამენტო არჩევნებით მოხდა შევარდნაძის ხელმძღვანელობის ლეგიტიმაცია. ის აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავჯდომარედ. შევარდნაძე პარლამენტს თავმჯდომარეობდა 1995 წლამდე. ამავე წლებში ის იყო თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1993-1995 წლებში თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც მოამზადა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პროექტი. მისი ინიციატივით საქართველო შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) – 1993 წელს. 1995 წელს შექმნა პარტია – **“საქართველოს მოქალაქეთა კავშირი”**, რომელიც წამყვანი პარტია გახდა საქართველოში 1995-2002 წლებში.

ედუარდ შევარდნაძეზე სამჯერ მოაწყვეს თავდასხმა:

**1992 წლის 3 ოქტომბერს რუსმა სამხედროებმა – აფხაზეთში;**

**1995 წლის 29 აგვისტოს “მხედრიონელებმა”, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იმდროინდელი შენობის ეზოში;**

**1998 წლის 9 თებერვალს – რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე.**

1995 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად – ხმათა 74%-ით. 2000 წლის 9 აპრილს – ხმათა 82%-ით, ხელმეორედ აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

2002 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში საქართველოს მოქალაქეთა კავშირი დამარცხდა. იმავე წლის სექტემბერში შევარდნაძემ განაცხადა, რომ 2005 წელს, უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, აპირებს პენსიაზე გასვლას და მემუარების დაწერას. 2003 წელს საპარლამენტო არჩევნებში ოფიციალურად გამარჯვებულად გამოცხადდა შევარდნაძის ბლოკი **”ახალი საქართველოსთვის”** – ხმათა 21.32 %-ით, ხოლო მეორე ადგილზე – პროსამთავრობოდ განწყობილი **“დემოკრატიული აღორძინების კავშირი” –** ხმათა 18.84 %-ით. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნებში დარღვევები დააფიქსირეს. ოპოზიციამ შევარდნაძეს არჩევნების ბათილად ცნობისკენ მოუწოდა, მისი შედეგების გაყალბების გამო. პრეზიდენტმა უარი განაცხადა არჩევნების შედეგების გაუქმებაზე, რის გამოც ზოგიერთი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა დაიწყეს საპროტესტო კამპანია და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს. დემონსტრაციების შედეგად, 2003 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის შენობებში მოწინააღმდეგეთა გუნდი შეიჭრა. შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ უარი თქვა არმიის გამოყენებაზე და 23 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგა.

მოგვიანებით ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ შევარდნაძემ **“ვარდების რევოლუცია”** ამერიკელების სცენარით გაითამაშა და ხელისუფლებაში თვითონ მოიყვანა თავის მიერვე აღზრდილი და დიდ პოლიტიკაში დაკვალიანებული ეთნიკურად აშკარად არაქართველი დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი და მისი დამანგრეველი ძალა – **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”**, რომელთაც რამდენიმე წელიწადში გაანადგურეს საქართველოს ეკონომიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურა, სულიერება, დაასუსტეს მართლმადიდებლური სარწმუნოება, გაძარცვეს ქვეყნის ბიუჯეტი, გაანახევრეს ქვეყნის ტერიტორია, წამოიწყეს პროვოკაციული ომი რუსეთის წინააღმდეგ და იურიდიულად გააფორმეს ქვეყნის ტერიტორიის 25 პროცენტის დაკარგვა.

ედუარდ შევარდნაძეს ჰყავდა მეუღლე – ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე, რომელიც 2004 წელს გარდაიცვალა. შევარდნაძეს ჰყავს ვაჟიშვილი – პაატა, იუნესკოს თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი და ქალიშვილი – მანანა, სატელევიზიო ფილმების სტუდიის დირექტორი.

შევარდნაძის მოღვაწეობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ მისი შიში, უნდობლობა (მცირე გამონაკლისის გარდა) და სიძულვილიც კი სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ, რამაც განსაკუთრებული სისასტიკით იჩინა თავი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ. მაშინ, ამ **“დიდმა პოლიტიკოსმა”**, პრობლემის გადაჭრის სხვა უფრო ლოიალური გზა ვერ გამოძებნა, გარდა იმისა, რომ მისი გარემოცვის ძალადობის წინააღმდეგ სამეგრელოს მიერ გამოთქმული პროტესტი ე.წ. სეპარატიზმის სიბრტყეში გადაიტანა, საქართველოს ამ მართლაც ისტორიულ ბურჯს ქვეყნის გახლეჩის სურვილი დააბრალა და მის მიერვე შექმნილ-დაპურებული **“მხედრიონელი”** კაციჭამიები ეკზეკუციად შეუსია, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა მანკიერებები ცხოვრების წესად იქციეს!

მაგრამ, მისდა საუბედუროდ, მაინც ვერ დააჩოქა ამაყი სამეგრელო და საფლავში ჩაიტანა იმის დარდი, რომ საბოლოოდ ვერ ამოძირკვა საქართველოს სულიერი ძლიერებისა და ეთნიკური სილამაზის ეს გვირგვინი!

წავიდა და საზოგადოებას გულისტკივილად დაუტოვა არაადამიანური ანგარიშსწორების კლასიკური ნიმუშები, რომელთაც შეიწირეს **“თვითმფრინავის ბიჭები”**, ისნის რაიაღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, საგარეჯოს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი გიორგი სააკაძე, სოლიკო ხაბეიშვილი, ჟიული შარტავა, აფხაზეთს შეწირული **“ღიმილის ბიჭები”...**

ძალზე დიდი სია გამოვიდოდა და აქ შევწყვეტთ!

ახლა კი, ბედისწერის გარდაუვალობის გამო, იმქვეყნიურ საქართველოში ერთად არიან მსხვერპლნიცა და ჯალათიც!

ქართველები ამბობენ: **“მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო”.** ჩვენ მკაცრად დავიცავით ტრადიციად ქცეული ამ თეზის მოთხოვნები და მხოლოდ შევარდნაძის მოკლე ბიოგრაფიის გადმოცემით შემოვიფარგლეთ. დანარჩენი, როგორც იტყვიან, **“დმერთის საქმეა”** – ვის სასუფეველისკენ მიანიშნებს გზას, ვის კი – ჯოჯოხეთისაკენ...

ჩვენ კი, როგორც **“ენის, მამულისა და სარწმუნოების”** ერთგული მსახურები გულს იმით მოვიოხებთ, რომ ყველა ქრისტიანისათვის სანუკვარ ლოცვას აღვავლენთ: **“ნათელში იყოს იმქვეყნიურ საქართველოში ყველა გადასულთა სული”!**

ᲐᲛᲘᲜ!

**ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ**
**ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ**

# ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ “ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ”

## ᲗᲣ ᲑᲡᲣᲠᲡ ᲘᲥᲝ ᲓᲦᲔᲑᲠᲫᲔᲚᲘ, ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲙᲕᲓᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ!

“მონ ამიზ, ჩემო ლამაზებო, კოხტებო და კუდრაჭებო. მომენატრეთ. აგერ უკვე ორი წელია, პრეზიდენტი აღარ ვარ, მაგრამ თქვენი ხატება ჩემშია და სულ თავს მახსენებს. როგორც მერაბ სეფაშვილი იტყოდა – “თქვენი მე, ხატება, დამდევს თან, ყოველდღე, ყოველწუთს, ყოველწამს”. მანდ, მიცვალებულზე ამბობთ – ღმერთსაც ხომ კარგები უნდაო და ალბათ პროკურატურაზეც ეგრეა, თორემ სხვას რას უნდა მივაწეროთ ბაჩოს, ვანოს და გიგის დაპატიმრება?! თქვენებს ჩემებმაც მიბაძეს და მეც დამაპატიმრეს.

თქვენ, რამდენი დაგიბარებენ, იმდენი შვეიდეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი (ქართველები “ბილწს” რომ უწოდებენ) გამოხტება და პოლიტიკურ დევნას აბრალებს ხელისუფლებას, მე რას დავაბრალო?! 2008-ში რომ ჩამოვედი და გვერდში დაგიდექით, თქვენ ერთხელ მაინც არ უნდა დარეკოთ და “ბენედიქტოვიჩ”, ხომ არაფერი გიჭირსო, არ უნდა მკითხოთ?! თქვენც კაი უმადურები ყოფილხართ.

“კაი ბიჭი” ვარ და ვიცი, ზონაზე პრობლემები არ მექნება (ბევრისგან განსხვავებით), მაგრამ კარლაზე ვდარდობ. ეგ ისეთი მაკვარანცხი ვინმეა, 7 წელი, თუ რამდენსაც მომისჯიან, იმდენი წელი უჩემოდ როგორ გაძლებს?! მინდოდა მიშასთვის დამერეკა, თავისუფალი დრო გაქვს და ჩემ მეუღლეს მიხედე-მეთქი, მაგრამ მაგაზე იმისთანებს მომიყვნენ, შემეცოდა ჩემი კარლა (ეს ძუძუს მოჭმა მაინც ვინ ასწავლა...).

ახლა ის ამომიქექეს, კადაფი რომ მიფინანსებდა წინასაარჩევნო კამპანიას. თქვენ როგორ აქრობთ ხოლმე ფაქტებს, ეგ მეთოდები დაწვრილებით მომწერეთ რა, თორემ ესენი მგონი მართლა მიპირებენ რაღაცას. გაითვალისწინეთ, რომ, მე თუ “გამსკვანჩეს”, მერე არც თქვენ დაგინდობენ. ლავუაზიეს კანონია ეს.

ეჰ, ნეტა ერთი-ორი თქვენი პროკურორი მომცა, ორ დღეში გავიმართლებდი თავს, ეგ კი არა ნაპოლეონის სიკვდილში დავადანაშაულებდი ახლანდელ ხელისუფლებას.

ახლა რა ვქნა? სენას მივცე თავი თუ ლუარას?! როგორც ჩანს, სულხან-საბას წყევლამ მიწია.

პოლიტიკურმა ალღომ მიმტყუნა. ჯერ არ უნდა მეთქვა 2017 წლის არჩევნებში რომ ვაპირებდი მონაწილეობას, რომ გაიგეს, მაგიტომ მომიშორეს. დაახლოებით ასეთი აბდაუბდას ლაპარაკობთ ხოლმე და “ევროპის სახალხო პარტია” სახეს იხოკავს, პოლიტიკური დევნააო და მე რატომ დამიკიდეს?! თუ მე ევროპელი არა ვარ?!

ვანოს და ბაჩოს ჰკითხეთ და მერე კარლას მისწერეთ, ქათმის ნახარში უფრო ასწორებს თუ წიწიბურა, რომ შემომიგზავნოს. ისე, რასაც ვუყურებ, 2008-ში ვინც საქართველოსთვის რაღაც გააკეთა, ყველას მიდგნენ. ჯერ იყო და ცხონებული კაჩინსკი მოიშორეს, ახლა თქვენ დაგდევენ, აგერ მეც მომდგნენ... ანგელამ ჩაგვიშვა უეჭველი, ვერ ინელებს ეგ მცხეთის ციხის ხეხვას ახალგაზრდობაში.

ერთადერთი თქვენ მეგულებოდით, ვინც გვერდში დამიდგებოდა, მაგრამ ახლა თქვენ გიგი გაგჭირვებიათ და ნიკოლა გაგახსენდებათ?! ისე, რა მაგარი იქნება, ყველა ერთად რომ ჩაგვსვან. მიშა იყოს მეფე (უარი რომ ვუთხრათ, იტირებს, მაგის ამბავი რომ ვიცი), ჩვენ ნაზირ-ვეზირები და სანახავად მოსული სტუმრები უცხო ქვეყნის დელეგაციები, რომლებსაც ხან ვინ შეხვდება და ხან ვინ.

...ეჰ, რა მახუმრებს. წავედი ადვოკატს უნდა შევხვდე და რაც გთხოვეთ, გაითვალისწინეთ. თქვენი იმედი მაქვს. გკოცნით გეხვევით გივარდებით წელში. ორევუარ, თქვენი ნიკოლა”.

**ᲡᲣᲠᲐᲛᲔᲚᲘ ᲘᲐᲙᲝᲤᲐ**

# პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

*ბატონ ედემ იზორიას ნაშრომზე – “გეორგიული თეორია” მიძღვნილი ზოგადკაცობრიულ პრობლემაზე – მეტყველებისა და აზროვნების ჩასახვა, წარმოქმნა-განვითარება – მიღებული აქვს რეცენზიები ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის და ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტებიდან, რომელსაც ხელს აწერს ცხრა დოქტორი – მეცნიერების აღიარებული მოღვაწენი. ამ საკითხს მიუძღვნა ავტორმა ქვემორე ახალი ნაშრომი “პოლემიკა”.*

**ფილოსოფოსი** – ალოგიზმი პირველი: აღნიშნულ ციტატათა შინაარსობრივი მოცემულობები ურთიერთთან და ამ საკითხებში უკვე არსებულ ცოდნასთან მიმართებით ალოგიზმის სრულ კასკადად გადაიქცევიან, როგორც კი შევეცდებით მათ გამოყენებას, პირდაპირ გაგებაში, ენგელსის ზემოაღნიშნული თეზის – **“შრომამ შექმნა ადამიანი”,** გასამყარებლად. თუ კარგად დავაკვირდებით, მარქსისა და ენგელსის ციტატებში შრომა და ადამიანი ერთიანია, ისინი იზოლირებულად არ არსებობენ. აშკარად საწინააღმდეგოს ამტკიცებს ციტატა ენციკლოპედიიდან, რომლის მიხედვით **“...საზ. ისტორიას წინ უძღოდა შრომითი ჩანასახები... შემდეგ, ავსტრალოპითეკის ეპოქაში მოხდა “...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო...” და მხოლოდ “...პითეკანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტ. დამზადებამ (და გამოგონებამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი...” ანუ, გამოდის მხოლოდ 0,5 მლ წლის წინ, შელ-აშელ კულტურათა პერიოდში (იგივეს ამტკიცებს ენგელსიც), მოხდა მეტყველი არსების – ადამიანის წარმოშობა. ეს მაშინ, როცა მანამდე, ჯერ კიდევ ერთი მლ. წლის წინ “...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებას...”** ანუ იარაღის დამზადებას აწარმოებდა. მარქსიზმის სრულიად ერთსულოვანი, – დოგმამდე აყვანილი დასკვნით კი ადამიანის უმთავრესი განმსაზღვრელი ატრიბუტი სწორედ რომ იარაღის დამზადების უნარის ქონაა.

**ისტორიკოსი** – ხაზგასმით უნდა შეინიშნოს ის, რომ თუ რას დავარქმევთ უკვე აღმოცენებულ შრომას – ჩანასახოვანს, პრიმიტიულს და ა. შ. მნიშვნელობა არა აქვს. – თუ ის შრომაა, აუცილებლად გულისხმობს, ასევე, მისსავე შესატყვის – ჩანასახოვან, პრიმიტიულ და ა. შ. შემსრულებელს – ადამიანს. მას შემდეგ რაც მას ადამიანმა მიაგნო, ნებისმიერი შრომის სახეობის არსებობა ადამიანის გარეშე სრული ფილოსოფიური ალოგიზმია. იგივე ითქმის მეტყველების ადამიანისაგან დაცილების თაობაზე. აი ამაშია პირველი ალოგიზმის არსი.

**ფილოსოფოსი** – სწორია, რადგან: შრომა შედეგია, განმაპირობებელი მიზეზი (ფაქტორი) შრომისა კი ადამიანია; შრომა ფუნქციაა, ფუნქციონერი კი ადამიანია; ადამიანი ტვინია და არა ხელები, რადგან ხელებს ტვინი ამოძრავებს; შრომა ტვინის ნაჟურია.

**ფსიქოლოგი** – ალოგიზმი მეორე: მეცნიერულად დადგენილია, რომ ადამიანისმაგვარნი ზოგჯერ არაორდინალურ სიტუაციებში, ზოგჯერ კი სპონტანურად აზრის შემცველ ქმედებებს ახორციელებენ. სრულიად მოსალოდნელია, მათ ამ ყოფით ფიზ. ქმედებებს აზრი აესხა, ანუ ცხოვრებისეული ქმედებანი მათნი აზრში გარდასახულიყო. არსებობს ასეთი თეორიაც: ფრანგული ვალონეს ფსიქოლოგიური სკოლის იდეების მიხედვით, მოხდა **“ქმედებიდან აზრზე გადასვლა”; “ქმედებაზე აზრის აზრდა”** (რ. ნათაძე). ეს ასეა მარქსისტული შრომის თეორიის მიხედვითაც, მაგრამ ადამიანის მეტყველება ამგვარი ქმედებებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მიგვეღო: ქმედებას რომ აზრი მოეცა და ამ აზრის მეტყველებითი გამოხატვა (აღნიშვნა) განხორციელებულიყო, აუცილებლად იმ ორგანოებით, რა ორგანოებითაც ქმედება სრულდებოდა, უნდა მომხდარიყო ჟესტიკულიაცია ამ ქმედებებისა. რაკი მეცნიერებაში დამტკიცებულად, დასაბამიდანვე, ფიზ. მოქმედებათა უპირველესი საშემსრულებლო იარაღი ხელია, მ. ე. აზრის გადმოსაცემად, ანუ სამეტყველოდ, ხელების ჟესტიკულაცია უნდა გვქონოდა. ეს იქნებოდა ჟესტების ენა. ხომ არსებობს კიდეც ჟესტ-მიმიკის თეორია, მაგრამ გარდა იშვიათი გამონაკლისისა, დღეს გვაქვს სულ სხვა შედეგი – ესაა ბგერითი ენა ანუ ბგერებისაგან შედგენილი სიტყვებით მეტყველება.

მეორე ალოგიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველება ქმედებებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მიგვეღო:

**ფიზიოლოგი** – ალოგიზმი მესამე: შრომაც და მეტყველებაც კუნთების ანუ ნერვულ-მუსკულარული მოძრაობებია: მეტყველება არის სამეტყველო აპარატის ორგანოთა მეზობლობაში ენის სამეტყველო მოძრაობა, ხოლო ფიზ. შრომა კი, ძირითადად ხელების ნერვულ მუსკულარული მოძრაობებია. შრომის შემსრულებელ ორგანოებს – ძირითადად ხელებს თუ სხვა ორგანოებსაც შრომაში მონაწილე საყრდენ – მამოძრავებელი აპარატიდან და ასევე სამეტყველო ორგანო ენას თავის ტვინში გააჩნიათ თავიანთი სამმართველო (საანალიზო) ცენტრები. ე. წ. ანალიზატორები. თუ გამოვრიცხავთ მთლიან ჩართულობას ქერქულ ბოლოსი თავის ტვინისა, ისინი დამოუკიდებელნი (ავტონომიურნი) არიან: ხელების მოძრაობის ცენტრი (მოძრაობის ანალიზატორი) ანუ მოსკოვის ტვინის ინსტიტუტის მიერ დადგენილ ტვინის ციტოარქიტექტონურ რუქაზე ველი ნომრით 6 ვერ განახორციელებს ენის მოძრაობებს და პირიქით – ენის (მეტყველების) ცენტრი (ველი ნომერ 44-45) ვერ განახორციელებს ხელების მუსკულარულ მოძრაობებს.

**ფსიქოლოგი** – მეტყველების ჩასახვა იწყება იმ პერიოდიდან, როცა ენის სამეტყველოდ ამმოძრავებელი ცენტრი ანუ მეტყველების ცენტრი ჯერ არ არსებობს. ის ჯერ უნდა ჩაისახოს, რომ ენამ სამეტყველო მოძრაობები გააკეთოს. ამიტომ, ენას გარდა კვებითი მოძრაობებისა, სხვა სამეტყველო მოძრაობები – არტიკულაციები ვერ ძალუძს. გასაგებია, რომ არსებობს მთლიანად თავის ტვინის, მისი ქერქის მაკოორდინებელი ძალმოსილება, მაგრამ ასეთ პირობებში განა ცხადზე უცხადესი არაა, რომ ენის არტიკლიაციებს, სანამ მეტყველების ცენტრი არ ჩაისახება, ვერაფერი ვერ შეძლებს; რომ ვერც შრომითი ქმედებიდან აზრის მოცემა ან შრომითი კავშირების მოთხოვნილების არსებობა ენას სამეტყველოდ ვერ აამოძრავებს. მთლიანად თავის ტვინი და მისი ქერქის სრულიად მობილიზებული მაკოორდინირებელი საანალიზო სისტემა დღევანდელი მაღალი განვითარების რომც იყოს, უძლურია ენა აამოქმედოს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეტყველების ცენტრი ჯერ არაა ჩასახული.

**ფიზიოლოგი** – თუ, უპირატესად, ხელის მოძრაობებმა განაპირობეს მეტყველების ჩასახვა და განვითარება, რატომ არ პოვა, ასეული ათასწლეულების მანძილზე, ამ ფაქტმა შესაბამისი ასახვა თავის ტვინის ციტოარქიტექტონიკაში? ჩვენი აზრით, ხელის მოძრაობის ანალიზატორი რომ ყოფილიყო განმსაზღვრელი მ-ის ჩასახვა-განვითარებისა, ამ ხნის მანძილზე, იქვე პოვებდა მეტყველების ანალიზატორი თავის ადგილსამყოფელს (– მეექვსე ველზე) და არა 44-45 ველზე ც. ა. რუქისა.

ცხოვრებისეული თუ შრომითი (პირ. რეფლექსური) შეძენილი ქმედებებიდან მოძრაობის ცენტრის და თვით ხელის განვითარება სავსებით ბუნებრივია, რაც ასეც მოხდა. ამიტომაც ითქვა: შრომის იარაღი – ხელი შრომის პროდუქტიც არისო. ეგრევე უნდა მომხდარიყო ენისა და მისი სამეტყველო-მამოძრავებელი ცენტრის შემთხვევაში. ენა და მისი მამოძრავებელი ცენტრი უნდა განევითარებინა ენის იმგვარივე ბუნებრივ მოძრაობებთან შეხამებულ ახალ პირ. პეფლექსური ბუნების მოძრაობებს, როგორც ეს ხელის შემთხვევაში მოხდა.

სოც. თეორიებს იზიარებდნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი და ა. შ. მაგრამ ამასვე აკეთებდნენ ფსიქოლოგნი, ბიოლოგნი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიოლოგნიც (მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პ. პავლოვი, ცნობილი ნევროლოგი ვ. ვ. მიხეევი, შესანიშნავი ფსიქოლოგი რ. ნათაძე, ფენომენალური ენათმეცნიერი ნ. მარი და ა. შ.).

**ბიოლოგი** – ალოგიზმი მეოთხე: ფიზიოლოგიურ ასპექტში მეტყველება და შრომა პირობითრეფლექსური ბუნებისანი არიან. ისინი მემკვიდროებით არ გადაცემიან და, ამიტომ, სახეობის ყოველმა წევრმა ცხოვრების მანძილზე უნდა შეიძინოს – ისწავლოს. თუ ბგერა აღმნიშვნელია, ნიშანია ანუ სიტყვაა და იმავდროულად პირობითრეფლექსური ფენომენია, ეს იმას ნიშნავს, იმისათვის რომ ის, როგორც პირ. რეფლექსი აღმოცენდეს, პირობითი გამღიზიანებელი, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა იყოს ბგერა. შრომის პროცესში დაკავშირების მოთხოვნილება არაა ბგერა (არც რაიმე სუბსტანცია), ამიტომ, ბგერით პირ. რეფლექსს ვერ აღძრავს.

**ისტორიკოსი** – ალოგიზმი მეხუთე: კ. მარქსი წერდა: **«...ობობა ასრულებს მქსოველის მსგავს ოპერაციებს. ფუტკარიც თავისი ცვილის უჯრედების აშენებით, არცხვენს ზოგიერთ ადამიანებს – არქიტექტორებს. მაგრამ ყველაზე უარესი არქიტექტორი საუკეთესო ფუტკრისაგან თავიდანვე განსხვავდება იმით, რომ სანამ ცვილისაგან უჯრედს ააშენებდა მან ის უკვე თავის თავში გააკეთა...»** დ. ნ. მ. გვ. 189.

**ფილოსოფოსი** – ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ქმედება რომელსაც, ამ შემთხვევაში ადამიანი ასრულებს ცნობადია. იმას რაც **«წინასწარ წარმოდგენაში»** უნდა ააშენო მაღალი დონის ფსიქოანალიზი ჭირდება. აქ. ცხადია, საკმარისი არაა ქმედებათა მხოლოდ საგნობრივი წარმოდგენები, არამედ შესასრულებელია წყება მაღალი დონის ფსიქოაქტებისა. ამგვარი შრომა ხომ თავის თავში გულისხმობს მიზნობრიობას (მიზანშეწონილობას, მიზანმიმართულებას, საბოლოო მიზანსახვას ანუ პროგრამირებას) და შესატყვისი უმაღლესი რანგის მეტყველებითი ფსიქოაქტების ანუ აბსტრაქტული მეტყველების გარეშე შეუსრულებადია. როცა ვთქვით მეტყველებითი ფსიქოაქტით, ვიგულისხმეთ ის, რომ ადამიანი იმას, რაც უნდა ააშენოს, **«წინასწარ თავის ტვინში — წარმოდგენაში აშენებს»** სიტყვებით ანუ მეტყველებით. ეს ურყევი ფაქტია და, აგრეთვე, ისიც ხომ ფაქტია, რომ შრომის პროცესში თეორია ყოველთვის წინ უსწრებს პრაქტიკას, ამიტომ, ჯერ იყო მეტყველება, მერე მხოლოდ-დამხოლოდ ამ გაცნობიერებული აზროვნება-მეტყველების შემდეგ გახდა შესაძლებელი გაცნობიერებული ქმედება, ანუ შრომა. აქ გამოვლენილი ალოგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ცნობადი პროცესი – შრომა შეუთავსებელია გაცნობიერებულ მეტყველების არარსებობასთან.

**ავტორი** – შრომის პროცესში მშრომელთა ურთიერთდაკავშირების მოთხოვნილების არსებობა გარდა იმისა, რომ აუცილებლად გულისხმობს იმას რასაც არა აქვს გრძნობადი ფესვები ანუ, როგორც უკვე ვთქვით, რაც არაა ნატურალური. იგი ასევე, ყოველმიზეზგარეშე, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ დაკავშირების მოთხოვნილება საარზოვნო-ანალიტიკური მონაცემია. ზოგჯერ, ეს უკანასკნელი, გამოიხატება მარტივი აზროფორმებით – ისეთებით რომელნიც ფიზიკურ შრომაში ჩართულ მშრომელებს დღესაც ახასიათებთ. ესენია: მოდი, წადი, მომეცი, წაიღე, მიეცი და ა. შ. ხშირად ეს საარზოვნო-ანალიტიკური მონაცემი (დაკავშირების მოთხოვნილება) გამოიხატება მაღალი დონის აზროფორმებით – აბსტრაქტული ლოგოფრაზებით, როგორიცაა: ეს ასე და ასე გავაკეთოთ, ეს კარგი გაკეთებულია, ამის ამნაირად გაკეთება შეუძლებელია და ა. შ. ასეთი რანგის აზროვნება, როგორც ამ მაგალითებიდან აშკარად ჩანს, საგნობრივ აზროვნებაზე მაღლა დგას. იგი აბსტრაქტულია, რადგან ლოგოფრაზები გულისხმობენ იმას, რაც მხოლოდ წარმოდგენაშია, ანუ იმას, რაც არაა გაკეთებული და აღქმული, როგორც ნატურალური შეგრძნებადი ობიექტი.

პარადოქსია, თუ როგორ დაუშვა ლოგიკურმა მეცნიერულმა აზროვნებამ იმის უგულვებელოფა, რომ შრომა გაცნობიერებული პროცესია, ამიტომ, უკვე არსებული, მაღალი რანგის აზროვნება მეტყველების გარეშე, ვერაფრის დიდებით, ვერ განხორციელდებოდა.

*(გაგრძელება იქნება)*

# საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ სოროსის ფონდის საბჭოს წევრი და კონრად ადენაუერის ფონდის ექსპერტი ზვიად ქორიძე წარადგინა

ცნობისთვის: ზვიად ქორიძე წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალისტიკის სფეროში – იყო რამდენიმე გაზეთის რედაქტორი და დამფუძნებელი, სხვადასხვა ქართული ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი და კონსულტანტი. იგი არის ფონდ **“ღია საზოგადოება-საქართველოს”** აღმასრულებელი საბჭოს წევრი, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მოწვეული ექსპერტი, „BBC WST“-სა და სტუდია **“რეს”** ერთობლივი პროექტის ტრენერი. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. არის ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

**„ზვიად ქორიძე კომისიის წევრად ნოემბრიდან მუშაობდა და მინდა საგანგებოდ ვუთხრა მადლობა თანხმობისთვის, რომ იმუშაოს ახლა უკვე კომისიის თავმჯდომარედ. მე მინდა ხაზგასმით ვუთხრა მადლობა ჩვენს მეგობარს, ჩვენს თანამშრომელს ალეკო ელისაშვილს, ურთულესი საქმისა და მუშაობის გაწევისთვის, ამ თვეების განმავლობაში...**

**ბატონ ზვიადს ვუსურვებ ამ ურთულესი საქმის წარმატებით გაძღოლას. შეწყალების კომისია მუშაობას უახლოეს დღეებში განაახლებს და, ბუნებრივია, იმუშავებს იმ პრინციპებით, რომლებითაც აქამდე მუშაობდა. ჩვენი ძირითადი მიზანი არის შეწყალება, ლმობიერების გამოჩენა და ჰუმანური პრინციპების დანერგვა ჩვენს სახელმწიფოში“,** – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მოკლედ, ქორიძის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა აშკარად მიანიშნებს, რომ იგი **“ნაცთა”** წრეში დაფრთიანებული კადრია. ამრიგად, თუ ღარიბაშვილი ხელისუფლებიდან ერეკება ყოფილ ნაცებს, მარგველაშვილი მათ კვლავ ხელისუფლებაში უყრის თავს. და ეს პოლიტიკური აბრაკადაბრა ალბათ მანამ გაგრძელდება, ვიდრე მარგველაშვილი ან ნაცებს არ დათმობს, ან საქართველოს პრეზიდენტობას!

**საქინფორმი**

# მსოფლიო დონის აღმოჩენა ხარაგაულის ნაკრძალში – გიგანტური ადამიანის ძვლები და "დისქავერის" 5-კაციანი ექსპედიცია საქართველოში

საქართველოში **"დისქავერის"** 5-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. მათი ვიზიტის მიზანია, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ურთულესი მონაკვეთის გავლა, ალპურ ზონაში ასვლა და ამ ყველაფრის გადაღება... ექსპედიცია, ამას წინათ, უკვე დაიწყო.

ყველაფერს კი, 6 წლის წინ, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ჩატარებული ქართველი სპეციალისტების ექსპედიციით ჩაეყარა საფუძველი, რომელსაც წინ ასეთი ფაქტი უძღოდა: აკრძალულ ზონაში, მწყემსებმა, გაუკვალავ გზაზე, ნახირის აყვანის შემდეგ, სამარხი აღმოაჩინეს, რომელშიც (სავარაუდოდ) გიგანტური ადამიანის ძვლების ფრაგმენტები დახვდათ. ამასთან, იქვე ნატაძრალიც იყო...

ეს ამბავი ქუთაისში პროფესორს, არქეოლოგ ერეკლე ჯულაყიძეს აცნობეს. მაშინვე ენთუზიასტების ჯგუფი შეიკრიბა, რომელთაც აღნიშნულ მონაკვეთზე ასვლის სურვილი გაუჩნდათ. იმ ჯგუფში იყო ჟურნალისტი ლელა ნინუაც (ამის შესახებ მაშინ მახსოვს, მეც ვწერდი. ბატონმა ერეკლემ ექსპედიციის მონაწილეებს გიჟური იდეის ავტორები დაარქვა). ჯგუფმა დანიშნულების ადგილამდე რთული გზა განვლო... მათ მიერ გადაღებული ვიდეომასალით კი, იმ პერიოდში, უცხოური არხები ინტერესდებოდნენ, მუდმივად ეხმიანებოდნენ ექსპედიციის მონაწილეებს. ამჯერად კი **"დისქავერი"** დაინტერესდა და ქართველ სპეციალისტებთან ერთად, იმ მონაკვეთის ხელახლა გასავლელად და გადასაღებად 5-კაციანი ჯგუფიც ჩამოვიდა. 8 ივნისს ყველანი ერთად, იმ გზაზე დაიძრნენ, რომელიც ქართულმა ექსპედიციამ 2008 წელს გაიარა.

**ლელა ნინუა** (ინტერვიუ გამგზავრებამდე მოგვცა. – ავტ.):

– ექსპედიცია არ შედგებოდა, რომ არა, ეს ენთუზიასტი ადამიანები. პირველად, 6 წლის წინ, ნამდვილად არ ვიცოდით, სად მივდიოდით, იქ რა დაგვხვდებოდა ან რას აღმოვაჩენდით, – ამიტომაც ჩვენი საქციელი სიგიჟედ მოინათლა... სამი დღე ფეხით ალპურ ზონაში ავდიოდით. უამრავი სირთულე გადავლახეთ, 16 საათი მარტო გაჟინულ მდინარეზე ვიარეთ, მერე ნისლი ჩამოწვა და თქვში წამოვიდა... ვერც ვიძინებდით. ტყეში, რა თქმა უნდა, იყვნენ მტაცებლებიც. ამიტომ, ღამ-ღამობით, დიდ კოცონს ვანთებდით, რომელთანაც მორიგეობა გვქონდა დაწესებული, რომ ჩვენს კარავს მტაცებელები (მგელი, დათვი...) არ დასხმოდნენ. მხეცების დასაფრთხობად დიდი რკინის ნატეხებს ერთმანეთს ვურტყამდით, ბოლო ხმაზე ვყვიროდით. იმაზე არ არის ლაპარაკი, მინდვრის თაგვები და მცირე ზომის ქვეწარმავლები რომ ზედ გადავგვდიოდნენ, როცა კარვებში ცოტას ჩაგვთლემდა ხოლმე, მაგრამ ისეთი დაღლილები ვიყავით, მათი მოგერიების თავი აღარ გვქონდა. მოკლედ, მთა, კლდე, მდინარე, ჩანჩქერი, – ყველანაირი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა. დანიშნულების ადგილზე ორი დღე დავყავით, სადაც მართლაც დაგვხვდა ეკლესიის ნაკვალევი, ადამიანის განმარხებული ძვლები, (დაუმარხავი ადამიანი ვულკანურ ქანებსა და ქვებში მოექცა). მოკლედ, მათი იდენტიფიცირება ჯერ არ მომხდარა... აღნიშნული ადგილი პალეონტოლოგების შესასწავლია.

**– უძველეს ლიტერატურაში მოხსენიებულია ფაქტები, რომ არსებობდნენ გიგანტური ადამიანები. ამაზე ძველი ბერძნული მითოლოგიაც მეტყველებს...**

– დიახ, იმ გიგანტი (სამმეტრიანი) ადამიანის კვალს მთელი მსოფლიო ეძებს, რომლებზეც ისტორიულ წყაროებში კარგად არის ახსნილი... სამწუხაროდ, ჩამოტანილი მასალა ნახა ერთადერთმა მსოფლიო დონის პალეონტოლოგმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა აბესალომ ვეკუამ. ის ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ, რომლის სიტყვას ყველა ენდობოდა (სამწუხაროდ გარდაიცვალა). ჩვენი ექსპედიციის შემდეგ წერდა: **"სარკოფაგის ტიპის სამარხი ვნახე, სადაც ეყარა ძვლები, რომელიც თავიდან მღვიმური დათვის მეგონა. თუმცაღა შევცდი, ეს ნამდვილად ადამიანის ძვლებია. მის სიგრძეს განსაკუთრებული ზღვარი უდევს მინიმუმიდან მაქსიმუმამდე – ბარძაყის ძვლისა და დიდი წვივის ქვედა და ბოლო ფრაგმენტის. გამოდის, რომ ის ერთი ადამიანის საკუთრებაა, რომელიც გოლიათი ყოფილა".**

**– "დისქავერის" მიზანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა არის?**

– იღებენ ფილმს. ექსპედიციას ჩვენი მხრიდან მხოლოდ 5 წევრი უნდა გავყვეთ და მათგანაც 5-ია. იგივე მარშრუტი უნდა გავიაროთ... **"დისქავერელებმა"** თქვეს, სულ რომ არაფერი აღმოვაჩინოთ, მხოლოდ გზა და ბუნება რომ გადავიღოთ, ესეც საკმარისი იქნებაო...

**– 6 წლის შემდეგ, ახლა როგორი განცდებით მიდიხარ?**

– რომ მახსენდება ის განსაცდელი, რაც მაშინ გვქონდა, ახლა სერიოზულად მაკანკალებს... მაშინ გამგზავრებისას ასე არ ვღელავდი...

**– როგორც მახსოვს, მაშინაც და ახლაც, ამ ექსპედიციის შემადგენლობაში ერთადერთი ქალი იყავი და ხარ...**

– კი, ასეა.

**ოთარ ბაღათურია, პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი:**

– ჩვენი ექსპედიცია, პირველი რიგში, მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოს პოპულარიზაციას ემსახურება. მერე ვიწრო ინტერესიც არის: ყველაფერი იმ ადგილით დაინტერსების გამოწვევას ემსახურება იმისთვის, რომ იქ შემდეგში მუდმივმოქმედი ექსპედიცია დაფუძნდეს, რომელიც იქაურობას საგულდაგულოდ შეისწავლის. თუ ასეთი დაინტერესება მოხდება, დაწვრილებით და კარგად იქნება შესწავლილი ტერიტორია, მერე ფინანსური მხარდაჭერაც გახდება საჭირო... მაგრამ ჯერ **"დისქავერიზე"** ამ ყველაფრის გაჟღერებამ ეს დაინტერესება შეიძლება გამოიწვიოს. თუ იქ კიდევ სხვა ძვლის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა და სრულფასოვანი ჩონჩხის რეკონსტრუქცია მოხდა, ამასთან, დამტკიცდა ისიც, რომ ეს არის გიგანტური ადამიანი, – ეს უკვე საინტერესო და მრავალმხრივი კვლევის თემა გახდება.

**– თქვენი ვარაუდით, ნამდვილად ადამიანის ძვლებია?**

– დასადგენია გიგანტური ძვლები ვისია – გიგანტოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნი, ოღონდ, უფრო მაიმუნისკენ რომ იხრება), მეგანთროპის (ადამიანსა და მაიმუნს შორის რომაა), თუ ჰომოგიგანტიკუსის (გიგანტური ადამიანი). თუ დამტკიცდა, რომ ის ადამიანების ერთ-ერთი წინაპარია, ცხადია მნიშვნელოვანი თემაა...

მერე უნდა დადგინდეს – ქართველია თუ არა. საერთოდაც მაინტერსებს, ბაღათურია ხომ არ არის, რადგანაც, **"ბაღათური"** ბევრ ენაში (ქართული, ინდური, ოსური, ირანული, მონღოლური, სლავურ ენებში) გოლიათს ნიშნავს: **"ბაღათარი", "ბაადური", "ბაჰადური", "ბაგატირ"**, დიახ, დეკაცია. მოკლედ, ეს ყველაფერი, როგორც გვარად ბაღათურიას, მე ისედაც მაინტერესებს... მაგრამ იმის შანსი, რომ იქ რბილი ქსოვილები აღმოჩნდეს, თუნდაც, პაწაწუნა ნაწილებიც, დეენემის ანალიზი რომ გაკეთდეს, მიზერულია. ამიტომ, ამაზე ფსონს არც ვაკეთებთ... თუმცა ვნახოთ.

**– ალბათ ექსპედიციამ იქ მუდმივად უნდა ჩიჩქნოს რაღაც, რომ იქნებ ასეთ კვალსაც მიაგნოს...**

– დიახ და მაშინ უკვე იმის იდენტიფიცირებაც მოხერხდება, ვინ არის ის და არის თუ არა ჩემი წინაპარი?

**– თუ ამას მიაღწევთ, მაშინ თქვენი გვარის ღირსეული შთამომავალი იქნებით...**

– **"დისქავერი"** იმაზე შევიპირე, რომ თუ ისეთი რბილი ქსოვილები აღმოჩნდება იქ, რაზეც უკვე მოგახსენეთ, რომ დეენემის ანალიზი გაკეთდეს, მაშინ ჩემს დეენემსაც წაიღებენ...

**– საკმაოდ რთული მონაკვეთის გავლა გიწევთ. მზად ხართ ამ ყველაფრისთვის?**

– ფიზიკური გამოცდის ჩაბარება გზაში ნამდვილად მომიწევს. ექვსი წლის წინ უკეთეს ფორმაში ვიყავი, მაგრამ მაინც გავქაჩავ. რაც მთავარია, მორალურად ვარ მზად და ასეთი მზაობით იწყება ყველაფერი...

**– მტაცებლების არ გეშინიათ?**

– ძალიან მეშინია, სინამდვილეში – არა, ისინი ადამიანს უფრთხიან. შეიძლება ადამიანს მგელი, ფოცხვერი, ან დათვი დაესხას, მაგრამ თუ მარტოა, იმ შემთხვევაში. იქ იარაღი აკრძალულია, რადგანაც ნაკრძალია... წინა ექსპედიციისას ასეთ რაღაცას შევესწარით: იქ მწყემსები არიან და უცებ ხარმა ბღავილი ატეხა, გამოცვივდნენ მწყემსები. დათვს ხარი მოეგდო, მაგრამ ადამიანები რომ დაინახა, მიატოვა ნადავლი და გაიქცა, თუმცა ხარის დატორვა კი მოასწრო. მოკლედ, ადამიანების ეშინიათ. რაკი ამდენი ვართ, მათგან თავის დაცვა არ გაგვიჭირდება...

**ლ. ფაცია**

# რესპუბლიკურის დირექტორი: "კახა ბედუქიძემ ნამდვილად ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვით"

*(ღორია, აბა რა არის?!)*

**"ავიღოთ ჯანდაცვის სფერო. ივანიშვილი ამბობს, რომ ჯანდაცვა იქნება უფასო. მთავრობა ამბობს, რომ იქნება საყოველთაო და ხელმისაწვდომი დაზღვევა. ხომ არის განსხვავება? ერთ შემთხვევაში, მე, კახა ბენდუქიძე, საავადმყოფოში რომ მივალ, უფასოდ უნდა მიმკურნალონ; მეორე შემთხვევაში მექნება ჩემი ფულის დამატებით შეძენილი ძალიან კარგი, როგორიც მომეწონება ისეთი, სადაზღვევო პაკეტი. როგორ, ამაში განსხვავება არ არის? შევხედოთ რიცხვებს – საქმე ისაა, რომ საშემოსავლო გადასახადიდან შემოსავლის 8%-ის ექვივალენტი** (ანუ რამაც **„ქართული ოცნების"** მიხედვით უნდა დააფინანსოს უფასო ჯანდაცვა) **არ არის საკმარისი, ვინაიდან ეს თანხა 700 მილიონს გაუტოლდება მომავალ წელს, ხოლო ჩვენი ჯამური ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე 1 მილიარდ 500 მილიონზე მეტი იქნება."** – ეს კომენტარი ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, კახა ბენდუქიძემ გაზეთ **"პრაიმტაიმთან"** გააკეთა.

**"გურია ნიუსისთვის"** ცნობილი გახდა, რომ კახა ბენდუქიძემ სწორედ იმ საყოველთაო ჯანდაცვით ისარგებლა, რომელიც მას არაერთხელ გაუკრიტიკებია.

**"გურია ნიუსმა"** ამ ინფორმაციის გადამოწმება რამდენჯერმე სცადა, მათ შორის ჯანდაცვის მინისტრთან დავით სერგეენკოსთან.

**"ამ ინფორმაციას არც უარვყოფ და არც ვადასტურებ"** – განაცხადა დავით სერგეენკომ რამდენიმე დღის წინ **"გურია ნიუსთან"**.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა ავთანდილ იმედაძემ კი **"გურია ნიუსთან"** დაადასტურა, რომ კახა ბენდუქიძემ ნამდვილად ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და პროგრამის ფარგლებში აუნაზღაურა სახელმწიფომ მომსახურება.

**"ბატონმა ბენდუქიძემ ნამდვილად ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და 1200 ლარიან ოპერაციაში სახელმწიფომ მას 840 ლარი აუნაზღაურა."** – განაცხადა ავთანდილ იმედაძემ ჩვენთან საუბრისას.

თავად მილიონერ კახა ბენდუქიძესთან დაკავშირება, იმის საკითხავად, კმაყოფილია თუ არა ის მომსახურებით, ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ.

**საკ. ინფ.**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# არჩილ არველაძე: დაწერეთ პირდაპირ, ეს არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი!

არჩილ არველაძე – თავისი თაობის გამორჩეული ფორვარდი, ვისაც ნატიფი ტექნიკა და ლამაზი გოლების გატანის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. რომ არა ქრონიკული ტრავმა, ტყუპისცალის კარიერა, ვინძლო, უფრო მჭექი ყოფილიყო, თუმცა, რაც ითამაშა, მართლა ლამაზად ითამაშა.

32 მატჩი და 6 გოლი საქართველოს ნაკრებში – რომ არა ტრავმები, ეს მაჩვენებელი უდავოდ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

დღეს არჩილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტული დირექტორია და სანაკრებო საკითხებს კურირებს. მას სწორედ ეროვნული გუნდის დღევანდელობასა და მომავალზე ველაპარაკეთ.

**– უპირველეს ყოვლისა, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შესარჩევი ჯგუფის შეფასება უნდა გთხოვოთ...**

– ალბათ, ორიგინალური ვერ ვიქნები – ყველა დამეთანხმება, რომ ძალიან რთული ჯგუფია. გერმანიას რომ თავი დავანებოთ, ყველა დანარჩენ ნაკრებს აქვს სამეულში მოხვედრის ამბიცია.

**– და მაინც, ქართველი გულშემატკივარი ჩვენი ნაკრებისგან სამეულში მოხვედრას ითხოვს და ლოგიკურადაც – ამ შანსს, რასაც ჰქვია 24-გუნდიანი ფინალური ეტაპი, ხომ დიდი ხანია, ველოდით...**

– მეც ამას ველოდები ჩვენი გუნდისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან გაგვიჭირდება. ამას ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე გეუბნებით.

**– ამ რამდენიმე დღის წინ რევაზ არველაძემ გვითხრა, რომ შესაძლოა, ირლანდიასთან შესარჩევ მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართოს. ამ მხრივ, რაიმე სიახლე ხომ არ გაქვთ?**

– ლუქსემბურგის ვარიანტი იყო, მაგრამ ჩვენი მხრიდან მაინცდამაინც საჭიროდ არ ჩაითვალა მათთან თამაში, რადგან მეტოქე ძალიან სუსტია. იყო სერბეთში გასვლითი შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობაც, თუმცა შორეული მგზავრობა და ტრავმების ალბათობა გავითვალისწინეთ. ჩვენთვის კარგი იქნება, თუ თბილისში მოვახერხებთ ამხანაგური მატჩის ჩატარებას. ვნახოთ, საბოლოო სიტყვა თემურ ქეცბაიას ეკუთვნის. ირლანდიასთან 7 სექტემბერს ვთამაშობთ და, შეიძლება მანამდე მოხერხდეს ამხანაგური მატჩის გამართვა.

**– ვიცით, რომ საირლანდიოდ ნაკრები თბილისში მოემზადება. როდის ვარაუდობთ შეკრების დაწყებას?**

– რაც უფრო ადრე დაიწყება მზადება, მით უკეთესი. კარგი იქნება, თუ შეკრებას თამაშამდე 5-6 დღით ადრე დავიწყებთ.

**– შოტლანდიასთან საგარეო მატჩისთვის იქვე მომზადებაა დაგეგმილი. ბრიტანეთში შეკრების ადგილი ხომ არ შეგირჩევიათ?**

– ჯერ არა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ როგორც ადრე, ამ მხრივ ახლაც ყველაფერი რიგზე იქნება. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრისათვის კარგად მოსამზადებლად ყველანაირი პირობა ექნებათ შექმნილი.

**– გასაგებია, რომ საქართველოს ნაკრების ძირითადი კონკურენტები მეორე-მესამე ადგილებისთვის ბრძოლაში ირლანდია, პოლონეთი და შოტლანდია იქნებიან. ცალკე მინდა გკითხოთ გიბრალტარზე. ევროპული ოჯახის ახალი წევრები მთლად წყალწაღებულნი არ ჩანან. ყოველ შემთხვევაში, ამხანაგური მატჩებიდან გამომდინარე ასეა...**

– მართალი ხართ. გიბრალტარის ნაკრები ნელ-ნელა იმატებს ახალ-ახალ ფეხბურთელებს. მათ მიერ ჩატარებულმა შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის ამ მატჩებში. ჩვენი გუნდი ყველა შეხვედრაში ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. არ გვაქვს იმის ძალა, რომ რომელიმე მატჩი ცალი ფეხით მოვიგოთ.

**– საინტერესოა, თუნდაც ახალ შესარჩევ ციკლში გადაიჭრება თუ არა ერთხელ და სამუდამოდ ნაკრების ფეხბურთელებთან დაკავშირებული სავიზო პრობლემები? ფაქტია, ბევრი მოთამაშე სწორედ ამით ხსნის ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოუცხადებლობას...**

– გთხოვთ, დაწერეთ პირდაპირ – ეს არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. ჟურნალისტებმა ხომ მაინც იცით, როგორ კეთდება ვიზები? ელემენტარულად, ფეხბურთელი უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და აიღოს ვიზა. მუდმივ ვიზას ნაკრების ფეხბურთელს ვერ გავუკეთებთ. ეროვნული გუნდი კლუბი არ არის, მისი შემადგენლობა ხშირად იცვლება. მწვრთნელს ვერ დაუყენებ იმის პირობას, რომ ნაკრებში მუდმივად ერთი და იგივე ფეხბურთელები გამოიძახოს. ეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

– საქართველოს ნაკრების დაარსების დღიდან ისმის ბრალდება, რომ ჩვენი მოთამაშეები ფეხებს უფრთხილდებიან, რომ ბოლომდე არ იხარჯებიან ვარჯიშებსა და მოედანზე... იქნებ პრობლემის გადაჭრის გზა ფეხბურთელების პრემირება იყოს? თუ გიფიქრიათ ამაზე? არსებობს სხვა მოსაზრებაც – როცა წელიწადში სულ რამდენჯერმე თამაშობ ნაკრებში, ფულზე არ უნდა იფიქრო, თუმცა რეალობა სხვაა...

– ნაკრების ფეხბურთელებს რომ პრემია მისცე, ჩემი აზრით, ამაში ცუდი და მიუღებელი არაფერია, მით უმეტეს, თუ ეს იმავე ფეხბურთელის სათამაშო მოტივაციას აამაღლებს. თუმცა არის მეორე მხარეც – ჩვენ, ყველამ, ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რისი საშუალება აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რა რეალობაში ცხოვრობს დღეს ჩვენი ქვეყანა და ასე შემდეგ...

**– მაშ, ამ ეტაპზე ნაკრების პრემირება გამორიცხულია?**

– არა, ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი. შეიძლება იყოს პრემიები, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უფრო იმ შემთხვევაში, თუ სამეულში შევალთ.

# ნიკა ჩხაპელია: აფხაზეთის ნაკრებში მიმიწვიეს, მაგრამ... რუსეთის ნაკრებზე ვოცნებობ

ფინანსური კოლაფსის მიუხედავად, ნალჩიკის **"სპარტაკმა"** მაინც გააგრძელა რუსეთის პირველ დივიზიონში ასპარეზობა და ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაასრულა.

გუნდში მხოლოდ ერთეულები დარჩნენ ზამთარში; ასევე, მივიდნენ გამოუცდელი ფეხბურთელებიც.

საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა დავით სირაძემ 31 თამაშში 2 გოლი გაიტანა, მაგრამ მის გარდა, გუნდში კიდევ იყვნენ ქართველები: რუსეთის მოქალაქეები – ნიკა ჩხაპელია (7 თამაში), გუჯა რუხაია (20 თამაში, 1 გოლი) და გიორგი ჯიქია (8).

**"სპარტაკის"** ოფიციალურმა საიტმა ნიკა ჩხაპელიასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომლიდანაც მხოლოდ იმ ნაწყვეტებს შემოგთავაზებთ, რომლებიც საინტერესოდ გვეჩვენა.

**"მე თავად აფხაზეთიდან ვარ, მეგრული ოჯახიდან. დავიბადე ოჩამჩირეს სიახლოვეს, სოფელ ილორში. 7 წლისა მეგობრებთან ერთად ფეხბურთზე შევედი, მომეწონა და ცუდადაც არ გამომდიოდა. ჯერ ადგილობრივ "ერცახუში" ამიყვანეს, მერე სოხუმის "ნართში". ამ გუნდთან ერთად 10 წლის ასაკში გელენჯიკში მოვხვდი ტურნირზე და იქაურ ბრაზილიურ სკოლაში დამტოვეს",** – განაცხადა მან.

**– ფეთქებადი სისწრაფე თქვენი კოზირია. ეს, ალბათ, ბავშვობიდან გახასიათებთ...**

– ოთხი ძმა მყავს და ყველა სწრაფია. ვერ ვიტყვი, რომ მათზე სწრაფად სირბილი შემიძლია, თუმცა მათ სპორტთან არაფერი აკავშირებთ. ისინი აფხაზეთში ცხოვრობენ, სადაც ახალი წლის მერე არ ვყოფილვარ, გრაფიკის გამო.

სხვათა შორის, ახლახან აფხაზეთის ნაკრებში დამიძახეს, არაღიარებული ქვეყნების მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ არ გამოვიდა – ზუსტად იმ დროისთვის გამომიძახეს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც.

**– რა არის თქვენი საფეხბურთო ოცნება?**

– ჩემპიონთა ლიგაზე თამაში, ლიგის ჰიმნის მოსმენა და რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში რუსეთის ნაკრებში.

**– თქვენი საყვარელი კერძი...**

– რასაც დედა ამზადებს – საცივი უპირველესია.

შეგახსენებთ, რომ არაღიარებულ ქვეყანათა მსოფლიოს ჩემპიონატი სკანდინავიაში მალე გაიმართება. **"აფხაზეთის ნაკრებთან"** ერთად ჯგუფში არიან: დარფური, ტამილ ელამი და ელიან ვანინი.

# გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი




გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სკოლაში შრომის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს უსაფრთხოების დაცვის წესებს ასწავლის:

– უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მთავარი წესია, თითები დენის წყაროში არ შეჰყოთ!!!

– მასწავლებელო, თითები იქ ხომ არ ეტევა?

– უტვინო, ლურსმნებით სცადე?

* * *

კაცმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა, გალიაში ჩასვა და ფანჯრის რაფაზე შემოდგა. მეორე დღეს გაიარა პოლიციელმა. თუთიყუშმა დაინახა თუ არა დაუძახა:

– გათახსირებულო ძაღლო!

პოლიციელი პატრონთან მივიდა და დაჯარიმა. იგივე განმეორდა რამდენ-ჯერმე. პატრონს ამდენი ჯარიმის გადახდა მობეზრდა და თუთიყუში მეზობლად მცხოვრებ ღვთისმსახურს მიაბარა. ერთი კვირის შემდეგ, პოლიციელმა ფანჯარას ჩაურა, მაგრამ თუთიყუშმა ხმა არ ამოიღო. პოლიციელმა რამდენჯერმე ჩაუარა ფანჯარას, მაგრამ თუთიყუშმა ყურადღება არ მიაქცია. ბოლოს პოლიციელი მივიდა და ეუბნება:

– რა, ვეღარ მცნობ? ეს ხომ მე ვარ, გათახსირებული ძაღლი.

– გვიან ინანიებ, შვილო ჩემო, – უპასუხა თუთიყუშმა.


**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაჭირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცირეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე გიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

**თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge